ა(ა)იპ – მწვანე ალტერნატივას

აღმასრულებელ დირექტორს ნინო გუჯარაიძეს

მისამართი: ქ. თბილისი, ზ. ფალიაშვილის 27/29,
მე-2 სართული

ელ. ფოსტა: griinalt@greenalt.org

ტელ: 229 27 73; 222 38 74

ქალბატონო ნინო,

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში 2016 წლის 11 ივლისს თქვენ მიერ წარმოდგენილი N24684 კორესპონდენციის პასუხად, გეგზავნებათ 2016 წლის 5 ივლისის ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმი (წერილობით და აუდიო ჩანაწერის სახით).

დანართი: 1. CD – 1 ცალი;
2. მასალები „ 38 " ფურცლად;

პატივისცემით,

სოფიო სიჭინავა

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

№26152
21.07.2016

## საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

## ზეპირი მოსმენის სხდომის
## ო ქ მ ი

### მოქალაქე ზაზა წიკლაურის ადმინისტრაციულ საჩივარზე

ქ. თბილისი 05.07.2016 წ.

სხდომის თავმჯდომარე - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი ზაზა თაქთაქიშვილი

სხდომის მდივანი - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს მრჩეველი ნუციკო ბერიაშვილი

დავის საგანი: ბრძანების ბათილად ცნობა

სხდომა დაიწყო 10:00 საათზე

სხდომის თავმჯომარე:
ვაგრძელებთ ზაზა წიკლაურის 2016 წლის 30 მაისის №18844 ადმინისტრაციულ საჩივრის განხილვას „სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"-ს ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალი 110"

რეკონსტრუქციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 5 იანვრის №-11 ბრძანებისა და „სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს 110 კილოვატიანი (220 კილოვატიან გაბარიტებში) ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალი“-ს რეკონსტრუქციაზე, მშენებლობაზე და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 19 თებერვლის №-91 ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნით. სხდომის მდივანს ვთხოვ მოგვახსენოს ვინ გამოცხადდა სხდომაზე.

**სხდომის მდივანი: სხდომაზე გამოცხადდა:**

**საჩივრის ავტორი - ზაზა წიკლაური**

**საჩივრის ავტორის წარმომადგენელი:**
**ნინო გუჯარაიძე (წარმოადგინა რწმუნებულება)**
**ირმა მახათაძე (წარმოადგინა რწმუნებულება)**

**მოწინააღმდეგე მხარის - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი:**
**საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების დეპარტამენტის უფროსი თამარ შარაშიძე;**
**საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ნინო სამადაშვილი**

**დაინტერესებული პირის წარმომადგენელი:**
**სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ლევან ქევხიშვილი (წარმოადგინა რწმუნებულება)**
**სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი იურისტი ლერი ქათამაძე (წარმოადგინა რწმუნებულება)**
**სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ გარემოზე**

**ზემოქმედების შეფასებისა და ნარჩენების მართვის სამსახურის უფროსი თინათინ ჟიჟილაშვილი (წარმოადგინა რწმუნებულება)**

**სხდომაზე არ გამოცხადდა:**

**დაინტერესებული პირის წარმომადგენელი - სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის იურისტი თამარ აბრალავა (წარმოდგენილია რწმუნებულება)**

**სხდომის თავმჯდომარე:** ადმინისტრაციულ საჩივარი განიხილება ჩემი საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის **ზაზა თაქთაქიშვილის** თავმჯდომარეობით. სხდომის მდივანი გახლავთ ამავე დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს მრჩეველი **ნუციკო ბერიაშვილი.** წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაში მონაწილეობას იღებს ასევე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს მრჩეველი **ლალი თევდორაშვილი. აცილება ხომ არ გაქვთ მხარეებს?**

**საჩივრის ავტორი ზაზა წიკლაური:** არ გვაქვს

**მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი ნინო სამადაშვილი:** არ გვაქვს

**დაინტერესებული პირის წარმომადგენელი ლევან ქევხიშვილი:** არ გვაქვს

**სხდომის თავმჯდომარე:** ადმინისტრაციული საჩივრის ავტორს, მის წარმომადგენლებს გთხოვთ, განგვიმარტოთ რატომ თვლით, რომ კონკრეტული გასაჩივრებული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტები შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლებით არის ბათილად საცნობი და თქვენი მოთხოვნა არის ლეგიტიმური. გისმენთ.

**საჩივრის ავტორის წარმომადგენელი ირმა მახათაძე:** წარმოდგენილი არის ადმინისტრაციული საჩივარი, ადმინისტრაციული საჩივრის ავტორია ბატონი ზაზა წიკლაური. საქმეზე დართულია იმის

დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ იგი არის ყაზბეგის რაიონის მკვიდრი, უშუალოდ ცხოვრობს იმ არეალში, სადაც მიმდინარეობს ამ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა. ადმინისტრაციული საჩივარი ამ შემთხვევაში წარმოადგენს მისი უფლების დაცვის სამართლებრივ საშუალებას, რასაც კანონმდებლობა ანიჭებს მას. როგორც ვიცით სამართლებრივად ადმინისტრაციულ საჩივარს ორი ფუნქცია აქვს: ერთი, რომ უფლების დაცვის რეალიზაცია მოახდინოს მხარემ და მეორე ის, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ განახორციელოს თვითკონტროლი. ამ შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის სახელზე წარმოდგენილ ამ ადმინისტრაციული საჩივარს სწორედ ეს ფუნქცია აკისრია: რომ ჩვენ მოვახდინოთ ჩვენი უფლების დაცვა, ხოლო ადმინისტრაციულმა ორგანომ, ამ შემთხვევაში ზემდგომმა ორგანომ გამოიყენოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება და გადაამოწმოს ადმინისტრაციული საჩივრის ფარგლებში გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტების, როგორც ფორმალური, ისე მატერიალური კანონიერება. ეს საფუძვლები ჩვენ ადმინისტრაციულ საჩივარში დაწვრილებით არის წარმოდგენილი. ჩვენ ვდავობთ იმას, რომ განთავისუფლება გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან მომხდარი არის შესაბამისი პროცედურების დარღვევით. აუცილებლად უნდა ყოფილიყო ამ შემთხვევაში გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიში შედგენილი. მოსახლეობას და დაინტერესებულ პირებს უნდა მისცემოდათ შესაძლებლობა, რომ მონაწილეობა მიეღოთ და გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები აღნიშნულთან დაკავშირებით, რაც არ მომხდარა ამ შემთხვევაში. ის, რომ განსაკუთრებული ინტერესია და ელექტრო გადამცემი ხაზის (ეგხ) მშენებლობა აუცილებელი იყო ეს ცნობილია და ცნობილია უკვე 2011 წლიდან, თუმცაღა ის, საფუძვლები, რასაც კანონმდებლობა ადგენს გზშ-სგან გათავისუფლებისთვის, რომლითაც სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ (სსე) შემთხვევაში სახეზე არ არის. არანაირი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა არ არის დასაბუთებული და გარდა ამისა, 4 დეკემბერს არის მიმართული შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოსათვის გზშ-სგან გათავისუფლების ძოთხოვნით, ხოლო გზშ-სგან გათავისუფლება მომხდარი არის 19 თებერვალს. ხომ ასეა? 19 თებერვალს დამტკიცებულია ეკოლოგიური ექსპერტიზა. ანუ

გარკვეული დრო ისედაც დაეთმო ამას და 75 დღემდეა თუ არ ვცდები ანუ ბევრად მეტი ვიდრე 60 დღე ანუ რა საჭირო იყო? ჩვენ არ გვინდა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ისე გაიგოს, რომ კატეგორიულად ვეწინააღმდეგებით ეგხ-ს და ასე შემდეგ. ეგხ და ის სტანდარტები, რასაც უდგენს მაღალი ძაბვის მქონე ეგხ მშენებლობას კანონმდებლობა, იმიტომ არის დაწესებული, რომ ეს პროცედურები დაცული იყოს ზედმიწევნით და სკურპულოზურად. თუნდაც, რას ნიშნავს 110 კილოვატიანი და (220 კილოვატიან) გაბარიტებში? ანუ ეს ეგხ 110 კილოვატიანი თუ 220-იანი? ნებისმიერი მოქალაქე, რომ გააჩეროთ გეტყვით, რომ ეს ეგხ არის 220 კილოვატიანი და ასეც არის ბატონებო. მაშინ დაიცავით ის, რაც ამ ძაბვის მქონე ეგხ მშენებლობისთვის კანონმდებლობით არის გათვალისწინებული ანუ მიგვაჩნია, რომ, ის სამართლებრივი აქტები, რაც ადმინისტრაციულ საჩივარში მითითებული გვაქვს არის უხეშად დარღვეული, ასევე უხეშად არის დარღვეული საერთაშორისო კონვენცია ე. წ „ორფუსის“ კონვენცია (კონვენცია — „გარემოსდაცვით საკითხებთან — დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“) და ყოველივე ეს განაპირობებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობას. კერძოდ, მინისტრის 5 იანვრის ბრძანების გამოცემისას დარღვეულია „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა, ე. წ. „ორფუსის“ კონვენციის პირველი, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი და მე-6 მუხლების მოთხოვნა. ჩვენ ჩამოთვლილი გვაქვს ეს პუნქტები და გაანალიზებული გვაქვს ამ ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტები გამოცემულია კანონმდებლობის უხეში დარღვევით და რომ არ არსებობდა შესაბამისად გზშ-სგან გათავისუფლების არანაირი წინაპირობა, რასაც კანონმდებლობა ითვალისწინებს. ამიტომაც სახეზეა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60[1] მუხლის პირველი ნაწილით და მე-2 ნაწილით განსაზღვრული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის საფუძველი. ჩვენ, ასევე მივუთითებთ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველ ნაწილზე,

რომლის თანახმადაც ადმინისტრაციულ ორგანოს არა აქვს უფლება განახორციელოს მინიჭებული უფლებამოსილება, საჯარო უფლებამოსილება კანონმდებლობის დარღვევით, რაც სახეზე არის განსახილველ შემთხვევაში. ეს მოკლედ ვთქვით. ვრცლად ალბათ მოგვიწევს სასამართლოში, თუკი ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო არ განახორციელებს მასზე დაკისრებულ უფლებამოსილებას სრულყოფილად.

**საჩივრის ავტორის წარმომადგენელი ნინო გუჯარაიძე:** ორი აქტის მიმართებით ვსაუბრობთ დღეს: გზშ-სგან გათავისუფლების თაობაზე გამოცემული აქტის შესახებ მსჯელობა, რომ სწორად წარიმართოს უნდა აღვნიშნოთ, რომ გზშ-სგან გათავისუფლება პროცედურულად ნიშნავს მხოლოდ საჯარო განხილვებისგან გათავისუფლებას და ეს კანონში არის მკაცრად მითითებული. არავითარი სხვა ვალდებულებისგან გათავისუფლებას ეს არ გულისხმობს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წერილი რომლითაც საქმიანობის განმახორციელებელი ითხოვდა გზშ-სგან გათავისუფლებას არ მოიცავს რაიმე ტიპის დასაბუთებას იმისა, თუ რატომ უნდა მომხდარიყო ამ საქმიანობის გათავისუფლება გზშ-სგან. ერთ-ერთი არგუმენტი რაც არის მითითებული, არის ის, რომ „დარიალ ჰესი“ უნდა შესულიყო ექსპლუატაციაში თებერვალში, რომელიც დღესაც არ არის შესული ექსპლუატაციაში. შესაბამისად ვადებზე უკვე ლაპარაკი ზედმეტია. გარდა ამისა, გარემოს დაცვის სამინისტროს ზუსტად უნდა სცოდნოდა ის თუ „დარიალი ჰესის“ მშენებლობა რა მდგომარეობაში იყო, რომ ექსპლუატაციაში შესვლის პერსპექტივა არ არსებობდა, ვინაიდან გარემოს დაცვის სამინისტრო წესით სკურპულოზურად უნდა ადევნებდეს თვალყურს მშენებლობის პროცესს, უნდა მონიტორინგს უწევდეს პირობების შესრულებას და ა. შ. ანუ ექსპლუატაციაში შესვლასთან ახლოსაც, რომ არ იყო ზუსტად უნდა სცოდნოდა გარემოს დაცვის სამინისტროს. ანუ დასაბუთება, რომ არ იყო სათანადო ეს გარემოს დაცვის სამინისტროსთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო. გარდა ამისა, სხდომის ოქმებში, რომლებშიც განიხილებოდა გზშ-სგან გათავისუფლების საკითხი, გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე ნათლად ამბობს, რომ საკითხი არის მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე. მოგეხსენებათ, რომ არა ერთხელ გაიმართა ადგილობრივი მოსახლეობის საპროტესტო აქციები, გარემოს დაცვის

სამინისტროში იყო რამდენიმე საჩივარი შესული უკანონოდ მშენებლობის დაწყების თაობაზე, ანუ მათთვის ცნობილი იყო, რომ საკითხი იყო ისედაც პრობლემური. შესაბამისად, ასეთი საქმიანობის გზშ-სგან და საჯარო განხილვისგან გათავისუფლების საფუძველი უნდა ყოფილიყო ძალიან მაღალი. ეს საფუძველი სხდომის ოქმებში არ ჩანს. სხდომის ოქმში ასევე არ ჩანს რამ გადაწონა შემდგომში ან რითი გაბათილდა, ის რასაც მინისტრის მოადგილე ამბობდა, ანუ საბოლოდ რატომ გათავისუფლდა საქმიანობა გზშ-სგან. ეს რაც შეეხება გზშ-სგან გათავისუფლებას, ხოლო რაც შეეხება უკვე ნებართვის გაცემის პროცესს აქ საერთოდ აბსურდული სიტუაცია გვაქვს. აბსოლუტურად ეწინააღმდეგება „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონს და „ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონს, რომელშიც ნათლად არის განსაზღვრული თუ რას უტარდება ეკოლოგიური ექსპერტიზა, რა პროცედურაა, რა დოკუმენტები უნდა იქნეს წარმოდგენილი და ეს არის, რა თქმა უნდა, გზშ-ს ანგარიში, რომელიც არ ყოფილა წარმოდგენილი და არ ყოფილა განხილული. გარემოს დაცვის სამინისტრომ აბსოლუტურად გადააჭარბა თავის უფლებამოსილებას, როდესაც ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გასცა იმ დოკუმენტებზე, რომელიც უნდა ყოფილიყო განხილული მხოლოდ სპეციალურ საბჭოზე, მხოლოდ იმ გადაწყვეტილების მიღებისას, რომელიც ეხებოდა გზშ-სგან გათავისუფლებას. და იქ არის გაწერილი ზუსტად რა დოკუმენტებია საჭირო. ზუსტად ეს დოკუმენტები კი არის წარმოდგენილი, მაგრამ როდესაც საუბარია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემაზე, „ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონი მკაცრად ამბობს, მაგალითად მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი: „ეკოლოგიური ექსპერტიზა ტარდება საქმიანობაზე განცხადების „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით წარდგენის შემდეგ“. ამდენად, წესი განსაზღვრავს კონკრეტულ დოკუმენტებს, ეს დოკუმენტები წარდგენილი არ ყოფილა. გარემოს დაცვის სამინისტრომ გაურკვეველ დოკუმენტებზე ანუ იმ დოკუმენტებზე, რომლებსაც უნდა დაესაბუთებინა, რომ საჯარო განხილვების გარეშე შეიძლებოდა გადაწყვეტილების მიღება, აი ამ დოკუმენტების საფუძველზე მიიღო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის ყველა მუხლს თუ

გავყვებით სათითაოდ, ყველა მუხლი არის აბსოლუტურად დარღვეული. ძალიან საინტერესოა, რომ ეს წესი ითვალისწინებს ეკოლოგიურ ექსპერტიზაში მონაწილე ექსპერტების პასუხისმგებლობასაც იმასთან დაკავშირებით, რომ მათ უნდა სცოდნოდათ ჩატარების წესი და უნდა სცოდნოდათ რა დოკუმენტები განეხილათ. პირველ რიგში, სამინისტროს ვალდებულებაა და კონკრეტულად არის გაწერილი, რომ პირველად სამინისტრო ამოწმებს დოკუმენტების შესაბამისობას კანონის მოთხოვნასთან, მაგრამ შემდგომში უკვე ექსპერტებსაც უნდა სცოდნოდათ ეს უფლება-მოვალეობები და უნდა სცოდნოდათ რა დოკუმენტები უნდა განეხილათ რა მოთხოვნებთან მიმართებაში. სამწუხაროდ, არც სამინისტრო, არც ექსპერტები არ აღმოჩნდნენ კომპეტენციის ფარგლებში. არ ვიცი რატომ მოხდა ეს, ვერ გეტყვით. სამინისტრომ გასცა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა ყოვლად გაურკვეველ დოკუმენტებზე, ამიტომ ორივე აქტი არის კანონის მოთხოვნების უხეში დარღვევით გაცემული. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ ზუსტად ასეთ კონფლიქტურ სიტუაციაში დაუშვებელი იყო ამ საწარმოს გათავისუფლება ნებართვის აღებისგან. პლიუს ამას, რომ არავითარი საფუძველი არ არსებობს. დღევანდელი მდგომარეობა განსაკუთრებით ნათლად აჩვენებს ამ მდგომარეობას, რომ არავითარი გადაუდებელი აუცილებლობა ამისი არ არსებობს, არ დაქცეულა, არც სსე და არც სახელმწიფო ენერგოსისტემა ამის გამო და მითუმეტეს, რომ ბევრად მეტი დრო დაიხარჯა გადაწყვეტილების მიღებაზე, ვიდრე ეს სრულფასოვნად პროცედურის გავლის საფუძველზე მოხდებოდა. შესაბამისად, ადგილობრივ მოსახლეობას აბსოლუტურად უსაფუძვლოდ, აბსოლუტურად არაკომპეტენტურად ეთქვათ უარი მათი კონსტიტუციური უფლებების განხორციელებაზე და არავითარი დასაბუთება და არავითარი საფუძველი საწინააღმდეგო არცერთ დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი.

**საჩივრის ავტორის წარმომადგენელი ირმა მახათაძე:** დავამატებ თუ შეიძლება

**სხდომის თავმჯდომარე:** კი ბატონო, გისმენთ

**საჩივრის ავტორის წარმომადგენელი ირმა მახათაძე:** მინდა დავამატო

ისიც, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები სრულიად დაუსაბუთებელია, რითაც დარღვეულია კიდევ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომელიც აღნიშნავს, რომ როდესაც დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებს ადმინისტრაციული ორგანო, ამ შემთხვევაში წერილობით დასაბუთებაში უნდა მიეთითოს ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტების გამოცემისას. გადაუდებელი აუცილებლობა ამ შემთხვევაში არ არის და ქალბატონმა ნინომ დაწვრილებით მოგახსენათ ამის შესახებ. თუმცა, დასაბუთება თუ რატომ იყო მიღებული ამგვარად ეს დოკუმენტები მაინც არ არის წარმოდგენილი. მიგვაჩნია, რომ დარღვეული არის, ასევე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2, მე-5 და მე-6 მუხლები და კერძოდ, რომ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება და ამ შემთხვევაში სწორედ ეს არ განხორციელებულა. ამასთან, აქ არ არის არანაირ საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობაზე საუბარი, როდესაც საერთოდ არ მიეცა შესაძლებლობა ადგილობრივ მოსახლეობას და დაინტერესებულ პირს მიეღოთ მონაწილეობა ამ მნიშვნელოვან საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას, რაც კიდევ მიუთითებს საერთაშორისო კონვენციის ე. წ „ორფუსის“ კონვენციით დადგენილი დებულებების უხეშ დარღვევაზე.

**საჩივრის ავტორის წარმომადგენელი ნინო გუჯარაიძე:** თუ შეიძლება მეც დავამატებ, საერთოდ გაუგებარია რა საქმიანობაზეა გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა. სათაურს თუ შეხედავთ, ნუ შინაარსიც ასეა. გარდა იმისა, რომ 110-იანია თუ 220-იანი ვერ გავიგეთ, ნებართვა გაცემულია 220 კილოვატიან ეგხ-ზე, როდესაც ეგხ არის 220 კილოვოლტიანი. რა ობიექტია კილოვატიანი ეგხ ჩვენ არ ვიცით. ესეც მიუთითებს კომპეტენციაზე.

**საჩივრის ავტორის წარმომადგენელი ირმა მახათაძე:** და კიდევ, ჩვენ გავიარეთ ენათმეცნიერებთანაც კონსულტაცია. ვიცოდით, მაგრამ მაინც

და თუკი ამის საჭიროება იქნება წარმოვადგენთ კიდეც შესაბამის დასკვნებს იმასთან დაკავშირებით, რომ ფრჩხილებში მოცემულობა უნდა აკონკრეტებდეს მას, რის შემდგომაც მოდის ეს. 110 კილოვატი შეიძლება დაკონკრეტდეს 110-ზე ქვევით, მაგრამ ზევით ეს უკვე დაკონკრეტება აღარ არის და ამ ფრჩხილების არსიც და დანიშნულებაც გაუგებარია ამ შემთხვევაში. ამიტომაც ეს პირდაპირ ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს, როგორც ბრძანებაში იკითხება, 220 კილოვატიან ეგხ-სთან. უნდა ეწეროს კილოვოლტიანი. ანუ რა ისეთი გადაუდებელი აუცილებლობა არსებობდა, რომ ამგვარი უხეში პროცედურული დარღვევითა და კანონის მოთხოვნათა უგულებელყოფით იქნა მიღებული ეს აქტები, რომლებსაც ვასაჩივრებთ და რისთვისაც ვიმყოფებით დღეს განხილვაზე.

**სხდომის თავმჯდომარე:** ბატონო ზაზა, თქვენ ხომ არ დაამატებდით რამეს?

**ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი ზაზა წიკლაური:** დიახ, მცირედს დავამატებ. პუნქტობრივად და ისე კვალიფიციურად, რა თქმა უნდა, მე ვერ წარმოვადგენ საქმეს, მაგრამ თქვენთვის, როგორც განხილვის მთავარი ორგანოსთვის მნიშვნელოვანი იქნება ამ ამბის უფრო უკეთ წარმოსადგენად ერთი-ორი სიტყვა გითხრათ იმის შესახებ თუ, როგორ ვითარდებოდა მოვლენები. თემიდან არ გადავუხვევ. რასაც მე ვიტყვი ყველაფრის საქმის კურსში იყო სსე და მეტნაკლებად საქმის კურსში იყო სხვადასხვა ეტაპზე გარემოს დაცვის სამინისტრო, როგორც წინა მინისტრები, ისე ახლანდელი მინისტრი და მათი აპარატი. ეს ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის პროცესები დაიწყო, ჯერ კიდევ 2010-2011 წლებში. მათ შორის ყაზბეგის რაიონში და მშენებლობაც მათ შორის დაწყებულია იმ პერიოდში ანუ წინა ხელისუფლების დროს არჩევნებამდე. იმ დროიდან ადგილობრივი მოსახლეობა მათ შორის მეც ჩართულები ვართ ამ პროცესში, ჩართულები ვართ არა მაინცდამაინც ნეგატიურად, უარყოფითად და მოწინააღმდეგეებად, არამედ ინტერსით ვადევნებდით თვალყურს. როგორც კი გავიგეთ, რომ ხევში უნდა აშენებულიყო ჰიდროელექტროსადგურები გაგვიხარდა, დავინტერესდით. აბა რა შენდება, სად შენდება და როგორ. გაგვაოცა პირველ რიგში ინფორმაციამ სანამ ოფიციალურად გაცხადდებოდა ეს, როცა ჯერ კიდევ „იუსაიდი“-ს ექსპერტებთან გადიოდა ექსპერტიზას ეს

პროექტები. გაგვაოცა ამა თუ იმ ჰესის ადგილმდებარეობამ, სადაც აპირებდნენ აშენებას. ჯერ გასაჯაროებული არ იყო ეს პროექტები. იმთავითვე კიდევ უფრო დავინტერესდით, გამორიცხულია ამ ადგილებზე ჰესების აშენდეს და იფუნქციონიროს და რაშია საქმე. დავაბრალეთ იმას, რომ ჩვენამდე არასწორად მოვიდა ინფორმაცია. აი მოგახსენებთ, ესე იგი, დაახლოებით 2010-2011 წლებიდან ჩართულები ვართ ამ პროცესებში და რაც კი ხელმისაწვდომი გახდა საჯაროდ თუ არასაჯაროდ, რა ინფორმაციაზეც კი მიგვიწვდა ხელი ყველა ინფორმაცია დეტალურად გვქონდა შესწავლილი. პროექტები, გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტები, ნებართვები და ა. შ. ჩვენი ინიციატივით, რასაც ვახერხებდით გვქონდა კომუნიკაცია სსე-სთან, ენერგეტიკის სამინისტროსთან და გარემოს დაცვის სამინისტროსთან. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენი პოზიცია იყო საკმაოდ მკაფიო და ხელმისაწვდომი ჩვენი სსე-ს წარმომადგენელებისა და გარემოს დაცვის სამინისტროსთვის. ახლა რაც შეეხება, უშუალოდ 220 კილოვოლტიანი ხაზის მშენებლობას, რა თქმა უნდა, როდესაც ამ ჰესების მშენებლობა დაიგეგმა თავიდანვე ცხადი გახდა, რომ ასაშენებელი იქნებოდა 220 კილოვოლტიანი ხაზი, რომლითაც გამოტანა მოხდებოდა ხეობიდან ამ ენერგიის და ჩართვა საერთო ქსელში. მოსახლეობაში დაიწყო შფოთვა, რადგან სპეციალისტებისგანაც ვიცოდით, რომ ეს ეგხ არ არის უმნიშვნელო და არ არის ნაკლებ პრობლემური, ვიდრე ჰიდროელექტროსადგურები და დავინტერესდით ამ საკითხითაც. შესაბამისად, როდესაც მოვახერხეთ დაკავშირება სსე-ს იმ მაღალი თანამდებობის პირებთან, რომელთა ხელმოწერებიც არის აღნიშნული დოკუმენტებზე, გავარკვიეთ, რომ შენდება ეგხ ასეთი და ასეთი მარშრუტით, ასეთი და ასეთი სიმძლავრის ხაზით და ა. შ. საკმაოდ მდიდარი ინფორმაცია მივიღეთ მათგან, არაფერი დაუმალავთ და ჩვენ ვთხოვეთ, რომ უშუალოდ მარშრუტის დადგენის დროს, როდესაც ლაპარაკი იქნებოდა ზუსტად რა მიმართულებით გაივლიდა ჩართულები ვყოფილიყავით ჩვენც, ვინაიდან ჯერ ერთი, ვართ ადგილობრივი მოსახლეობა და მეორეც, ჩვენც ვართ გარკვეული კომპეტენციის მქონე. ჩვენ მაინც და მაინც იმას კი არ ვითხოვდით, რომ ჩაგვრთეთ იურიდიულად ამ პროცესში პროექტის ავტორები ვიყოთ და ა. შ. არა, ბუნებრივია ჩვენთან ერთად უნდა შერჩეულიყო ტრასა. მოხდა სიტყვიერი შეთანხმება. ამის შემდეგ, გაქრა კომუნიკაცია. გადის დრო და

შემთხვევით აღმოვაჩინეთ, რომ ეკონომიკის სამინისტრომ ჩვენს ხელთ არსებული ჩვენს მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწები ჩვენ სოფელში მიისაკუთრა უკანონოდ და ამაზე ცალკე დავა გვაქვს კიდევ და საბაბი იყო ის, თითქოს რეგისტრირებული არ იყო საჯარო რეესტრში. მოგეხსენებათ ჩემზე უკეთ, რომ 80%-ს არ აქვს მართლზომიერ სარგებლობაში არსებული ქონება რეესტრში საკუთრებაში გაფორმებული. მოხდა მიტაცება, ენერგეტიკის სამინისტროს მიერ, ვგულისხმობ იმას, რომ მიისაკუთრეს ანძების განსათავსებელი ტერიტორია. ამით მივხვდით ირიბად, რომ ანძების ტრასა გადის სოფელზე, როდესაც ჩვენ ვთავაზობდით სრულიად თავისუფალ სივრცეს, სხვათაშორის, კომუნიკაციებისთვის მოსახერხებელ სივრცეს, რომელიც სავარაუდოდ ჩვენი გათვლებით ორჯერ უფრო იაფი დაჯდებოდა. კომუნიკაცია დაიხურა მათი მხრიდან და ფაქტი დაიდო ასეთი. ამის შემდეგ აქტიურად ვიწყებთ ბრძოლას, შემდეგ ჩამოდიან წარმომადგენლები, ისე რომ ტექნიკა მოუძღვის წინ. არავითარ ნებართვაზე ჯერ არ არის საუბარი,__ არავითარი პროექტი გასაჯაროებული არ არის. ჩვენ შევძელით მარშუტის მოპოვება და მოდის ტექნიკა და იწყებს თხრას. თანაც, თხრას იწყებს ყველაზე პრობლემურ ტერიტორიაზე ანუ ჩვენ სოფელში. ეს ტრასა მოგეხსენებათ არის დაახლოებით 11 კმ-იანი და ამ 11კმ-დან ის, რაც ყველაზე მძაფრი იყო და სადავო ჩვენი სოფლის შემთხვევაში ეს არის სულ 2-3 კმ და ამ ტერიტორიიდან იწყებს მშენებლობას, ეს ხდება ზაფხულში,ხოლო ნებართვა გაცემულია ზამთარში. ტექნიკა ამოდის, ექსკავატორები ამოდის არა შესასწავლად, არამედ პირდაპირ იწყებს ცხრას. მოსახლეობამ ეს გააპროტესტა და ტექნიკა გაყარა, როგორც აბსოლუტურად უკანონო. მე თუ მკითხავთ, უბრალოდ კი არ უნდა გაეყარათ, ალბათ უნდა დაეპატიმრებინათ ეს ტექნიკა, რატომ აღმოჩნდნენ სხვის ტერიტორიაზე. ამას მერე გაჩნდა კომუნიკაცია სსე-სთან. ჩამოვიდნენ თანამდებობის პირები, რომელთაც ეხებოდათ საზოგადოებასთან ურთიერთობა და განგვიცხადეს მოსახლეობას ღიად: მადლობა თქვით, რომ საერთოდ ჩამოვედით და ადამიანებად ჩაგთვალეთ და გელაპარაკებითო. ციტირებას ვახდენ, ეს ხდება ზაფხულში. ამის მერე მოსახლეობამ თავისი ქნა, მოიგერია უკანონო მშენებლობა. გადის 1 თვე, კვლავ მოდის ტექნიკა პოლიციის ძალით და კვლავ ცდილობს მშენებლობის დაწყებას და გვეუბნებიან ასე: ეს თქვენი

საკუთრება არაა ანუ იმიტომ, რომ რეგისტრირებული არ გვაქვს რეესტრში და ამიტომ ჩვენ ტექნიკას სადაც გვინდა იქ დავაყენებთ, ეს სახელმწიფოს მიწაა. თუ სახელმწიფოს მიწაა ერთ-ერთი კომპანია თუნდაც სახელმწიფო მფლობელობაში არსებობდეს ჩვეულებრივ კომერციული ორგანიზაციაა. რა უფლებით, თუნდაც სადღაც თუნდა სახელმწიფო ტერიტორიაზე თხრის. ვითხოვდით, რომ გვაჩვენეთ მშენებლობის ნებართვა. გთხოვთ, მიადევნოთ ყურადღება როგორ ვითარდება მოვლენები. ეს არ არის ჩვენი აკვიატება, იურიდიული კირკიტი, ეს არის არსი საქმის. გვიცხადებს სსე-ს წარმომადგენელი, რომ იცით რა, ნებართვას არ ავიღებთ, ჩვენ ეს გაფორმებული გვაქვს, როგორც არსებული ხაზის რემონტი ანუ ლაპარაკია, ხაზი იქ გადის 110 კილოვოლტიანი ხაზი, რომელიც მათ საკუთრებაშია, ამიტომ არანაირ ნებართვას არ ავიღებთ. ჩვენ დაჟინებით ვითხოვდით, რომ შეექმნათ გზშ დოკუმენტი, ეს მათი მოვალეობაა მოქმედი კანონმდებლობით და ვითხოვთ, რომ მანამდე არანაირი მშენებლობა არ განეხორციელებინათ. სიტყვიერი და ხელჩართული დაპირისპირების შემდეგ ვაიძულეთ მათ, რომ ეთხოვათ, რომ ჩამოვსულიყავით თბილისში და შევხვედროდით მათ ადმინისტრაციას. დავთანხმდით იმ პირობით, რომ ტექნიკას გაიყვანდნენ, ჩამოვიდოდით გავაგრძელებდით. ჩამოვედით შევხვდით ზუმბურიძეს, ხელმძღვანელს და ყველა იმ თანამდებობის პირს, რომელსაც შეხება ჰქონდა ამ ეგხ-სთან. მოვისმინეთ მათგან ყველა ინფორმაცია, მივიღებთ ინფორმაცია და დავიშალეთ. ჩვენი მოთხოვნები ძალაში იყო, აიღონ ნებართვა და გზშ დოკუმენტი გააკეთონ. ნებართვის აღებაზე პასუხი იყო ასეთი: ჩვენ დავიწყებთ მშენებლობას ავაშენებთ, შემდეგ 200 ლარიან ჯარიმას გადავიხდით უკანონო მშენებლობისთვის და ამით დამთავრდება ყველაფერი. ეს იყო ლომინაძის პასუხი. ანუ სრულიად მკაფიო იყო ყველა ეტაპზე მათი დამოკიდებულება მოსახლეობის მიმართ. ეს არ იყო აღელვების ნიადაგზე ნათქვამი, რომ თქვენ ადამიანებად არ გთვლით. ეს ჩანდა ადამიანებად, რომ არ გვთვლიდნენ და საერთოდ მხარედ, რომ არ აღგვიქვამდნენ მათ ყველა ნაბიჯში: მიწების მიტაცებაში, იმაში, რომ უარი გვითხრეს გზშ-ს დოკუმენტის გაკეთებაზე, იმაში, რომ გაგვიცხადეს ნებართვის აღებას 200 ლარიანი ჯარიმის გადახდა გვირჩევნიაო და ა. შ. ყველა დეტალს ვერ ჩამოვთვლი.

**სხდომის თავჯდომარე:** ბატონო ზაზა, გთხოვთ, იქნება უფრო კონკრეტულად ისაუბროთ დავის საგანთან მიმართებაში

**ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი ზაზა წიკლაური:** დიახ, კი ბატონო, მაგრამ ვთვლი, რომ ეს არის არსებითი, იმისთვის, რომ წარმოიდგინოთ რა_ურთიერთობა არსებობდა და როგორ_ვითარდებოდა მოვლენები. ბოლოს რაც მოგახსენეთ ხდებოდა სექტემბერში. ამის შემდეგ, დაახლოებით ნოემბერში თუ დეკემბერში, ზუსტად არ მახსოვს, იწყება გამალებული მშენებლობა მთელს 11 კმ-იან მონაკვეთზე, გარდა ჩვენი სოფლის. რაღაც პაუზა გაგვიჩნდა, მართალია უკანონო მშენებლობა დაიწყეს, ჯერ ნებართვა არ აქვთ აღებული, ეს შეგიძლიათ ნებისმიერი გამვლელი ტურისტის ფოტოთიც დააფიქსიროთ, რომ მაშინ უკვე მშენებლობა მიმდინარეობდა, ანძები იდგმებოდა და გახურებული მუშაობა იყო. გამოტოვეს ჯერ-ჯერობით ჩვენი სოფლის მონაკვეთი და ჩვენ ვიფიქრეთ, რომ სამართლებრივი დავისთვის დრო დაგვრჩებოდა, რომ მოგვეგერიებინა ეს შემოტევა და გადაგვეყვანა ნორმალურ, თუნდაც სამართლებრივ, თუნდაც საღი აზრის თვალსაზრისით დისკუსიის ფორმატში. ჩვენ ვთავაზობდით ალტერნატივას, რომ ჩვენი სოფლის გვერდზე გაეარა ეგხ-ს, რაც გაცილებით იაფი დაჯდებოდა. ესე იგი, მთელი ზამთარი მიმდინარეობდა უკანონო მშენებლობა და ჩვენ უკვე ვემზადებოდით შესაბამისი მოქმედებებისთვის, საპროტესტო აქციებისთვის გამგეობის წინ. ეს ინფორმაცია, რა თქმა უნდა, სსე-ს ჰქონდა იმიტომ, რომ ცოცხალი პროცესი იყო და ჩვენც ვიგებთ რა იცოდნენ იმათ. როგორც კი აქცია დავგეგმეთ ერთ-ერთი კვირის ორშაბათს, პარასკევს ამოდის ტექნიკა სოფელ სნოში და იწყებს თხრას. ანუ ჩვენ პროვოცირებას ცდილობენ, რადგან ჩვენ ორშაბათს ვაპირებდით გამგეობასთან საპროტესტო აქციის გამართვას უკანონო მშენებლობასთან დაკავშირებით, უკვე პარასკევს საჩქაროდ ამოყავანეს ტექნიკა დღის მეორე ნახევარში და დაიწყეს თხრა. ჩაგვეშალა ჩვენი გეგმები, შაბათს დილით დავიწყეთ საპროტესტო აქციები. ნებართვა ისევ არ ჰქონდათ. მოიყვანეს პოლიცია და დაიწყო ჭიდაობა. ვეუბნებიოდით: გვაჩვენეთ ნებართვა, ჩვენ მიწაზე ვდგავართ. არა თქვენ არ დგახართო,- გვედავებოდა პოლიცია. პოლიცია გამოდიოდა, როგორც მხარე. თვითონ წარმომადგენელი პირველი არხის ჟურნალისტის დანახვაზე გაიქცა, შეძახილებით: პასუხებს მე არაფერზე არ გაგცემთ, პასუხი გაგცეთ ილია

ელოშვილმა ანუ ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემო. რატომ უნდა გაეცა პასუხი ენერგეტიკის მინისტრის მოადგილეს? დავუშვათ, ეკონომიკის მინისტრი იძლევა ნებართვას, ადგილობრივი ხელისუფლება ნებართვას იძლევა, გარემოს დაცვის სამინისტრო ნებართვას იძლევა, ენერგეტიკის მინისტრი განსაზღვრავს ზოგადად ქვეყანაში ენერგეტიკის განვითარებას და არა იმას, მარჯვენა სანაპიროზე უნდა ჩადგეს ესა თუ ის ბოძი თუ მარცხენა სანაპიროზე. ეს ყველას საქმეა გარდა ენერგეტიკის მინისტრისა. ამის მერე გავიდა კარგა ხანი, მოდის ელოშვილი, 1-2 საათში მოდის მცხეთიდან ჩამოყვანილი პოლიციის დიდი რაზმიც და დაიწყო შეხლა-შემოხლა. ელოშვილი იყო ნასვამ მდგომარეობაში. მოსახლეობამ მოახერხა და არ აყვა პროვოკაციას. ნებართვა ისევ ვერ მოჰქონდათ. წარმოვიდა თოვლი, გაიყინნენ პოლიციელები და ბოლოს, როდესაც გამოფხიზლდა ელოშვილი და წავიდა, მაშინღა წავიდნენ პოლიციელებიც. მანამდე ვიდექით იქ. ეს დღეც დამთავრდა, ისე რომ ნებართვა არ ჰქონდა. გათენდა კვირა დღე. ეს ყველაფერი ვიდეოებზეა ასახული და ეს ყველაფერი სასამართლოს განსჯის საგანი გახდება. კვირა დღეს, დილით ისევ დაიწყეს მუშაობა, ისევ ავედით ტექნიკასთან, მაგრამ მუშები აღარ იყვნენ. პოლიცია მოვიდა და გვეუბნება, რატომ არ აძლევთ მუშაობის საშუალებასო. ხომ გითხარით ნებართვა გვაჩვენეთ თქო. ნებართვა მაინც ვერ მოიტანეს. მოდის შუადღე, მაგრამ ნებართვა ისევ ვერ მოიტანეს. ბოლოს გადარეკეს, გადმორეკეს მცხეთაში, თბილისში, ყაზბეგში, ყველგან და ბოლოს გითხრეს: ჩვენი პოლიციის უფროსს მოაქვს ნებართვაო. რა შუაში იყო პოლიციის უფროსი? ყაზბეგის პოლიციის უფროსმა იშოვა ნებართვა და მოაქვს. ჩამოიტანეს ნებართვა, წავიკითხეთ და იქ იყო რაღაცა პირობა ჩადებული, რომ აი ამ პირობების შესრულების შედეგ ეძლევათ მუშაობის დაწყების უფლება. ჩვენ მოვითხოვეთ, რომ სადაა ეს პირობები შესრულებული. ამაზე წავიდნენ და ამოიყვანეს გამგებელი და ...

**დაინტერესებული პირის წარმომადგენელი ლევან ქევხიშვილი:** ბატონო თავმჯდომარე, შეიძლება ჩავერთო? ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი გასცდა დავის საგანს. პოლიციამ რა ქნა და ელოშვილმა რა ქნა, არ არის ამ დავისთვის მნიშვნელოვანი. ამიტომ იქნება უფრო კონკრეტულად ისაუბროს დავის საგანზე.

**სხდომის თავმჯდომარე:** ბატონო ზაზა, მე ცოტა ხნის წინაც გთხოვეთ და იქნება უფრო კონკრეტულად ისაუბროთ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით.

**ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი ზაზა წიკლაური:** გთხოვთ დამამთავრებინეთ. როდესაც ნებართვა მოიტანა პოლიციის უფროსმა და დაიწყეს ჩვენი დარბევა და დაჭერა. აღარ ვიტყვი იმას, რომ ეს ნებართვა ერთი კვირის წინა რიცხვით გააფორმეს. იმ დღეს დაწერეს, მაგრამ რომ გაემართლებინათ იურიდიულად თავისი საქციელი ერთი კვირით ძველი ხელმოწერა გააკეთეს. ამაზე აღარაფერს ვიტყვი, რადგან ამას ვერ დავამტკიცებ. მაგრამ რომ ჰქონოდათ ნებართვა იმ ღამესაც მოიტანდნენ და მეორე დილასაც. ერთი სიტყვით, თავიდან ბოლომდე აღვწერე ეს დამოკიდებულება, ეს პოლიტიკა და ეს მიმართულება, როგორც ხდებოდა. რაც შეეხება გზშ-ს, გზშ-ის დოკუმენტი ცარიელი ფარატინა ქაღალდი რომ არ არის იქიდანაც ჩანს, რომ ერთადერთი ადგილი არის ჩვენ სოფელში, რომელიც არის ზვავსაშიში, ზუსტად იმ ზვავსაშიშ ადგილზე დადგეს ანძა. ზვავსაშიში თეორიულად კი არ არის, ზვავი გამოდის და ორი სახლი დაანგრია სულ რაღაც სამი დღის წინ. იგივე ორგანიზაციას რომელმაც ეს დასკვნა გასცა ჩვენ ვეუბნებოდით ამ დროსაც და ადრეც, რომ აი აქ ამ მშენებლობის დაწყება არ შეიძლება, მაგალითად „ლარსი ჰესზე“, მაგალითად „დარიალ ჰესზე“, მოხდება ეს და ეს. ჩვენ ამას ჰაერზე კი არ ვიძახდით, ჩვენ ამას ვიძახდით გადმოცემით, ჩვენი თვალით ნანახით და უმაღლესი რანგის შესაბამისი სპეციალისტების დასკვნებით, რომ აი აქ ეს მოხდება, რაც უკვე მოხდა მესამედ ბოლო ორ წელიწადში. რომელმაც უფუნქციო გახადა „ლარსი ჰესი“. არ ვიცი, თუ კიდევ ააშენებენ ამ ჰესს და კიდევ გაატანენ მდინარეს. სხვას ყველაფერს, რომ დავანებოთ თავი, დროა გადაიხედოს „ლარსი ჰესის“, „რეალ ჰესის“ და სხვა ჰესების საინჟინრო მიზანშეწონილობა. ამ ყველაფერს ჩვენ, რომ ვამბობდით და გვინდოდა გვეთქვა სწორ სამართლებრივ გარემოში, თუნდაც გზშ-ს განხილვის დროს და რომ ვითხოვდით, რომ ჩართულები ვყოფილიყავით პროექტირების სტადიაზე, როგორც ნებისმიერი სპეციალისტი, რომ მოდის და ადგილს, რომ ზვერავს ადგილობრივ მოსახლეობას, ეკითხება ამა თუ იმ მდინარის ხასიათს. ეს არის სამეცნიერო კვლევის პროცედურა. ამ ყველაფრის იგნორირებით, ამ დამოკიდებულებით, რაც მე თქვენ

მოგიყევით, მივიღეთ ის შედეგები, რაც მივიღეთ, რასაც ყოველ დღე ვღებულობთ დარიალის ხეობაში, რასაც მივიღებთ სოფელ სნოშიც და სხვა სოფლებშიც. მეტს აღარ გავაგრძელებ.

**ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის წარმომადგენელი ნინო გუჯარაიძე:** ზუსტად ასეთი წესით იყო გაცემული ნებართვები იგივე იმ ჰესებზე, რომლებზეც მესამედ და მეოთხედ ადამიანების სიკვდილით დამთავრდა და აი ასეთ პირობებში და აი ამ რეგიონში, სადაც ამხელა გამოცდილება აქვს გარემოს დაცვის სამინისტროს, თავისი უვიცობით გაცემული ნებართვები, კიდევ ერთხელ, რომ ასეთ რაღაცას აკეთებს, ყოველგვარ ზღვარს სცდება.

**სხდომის თავმჯდომარე:** გთხოვთ, შევიკავოთ თავი შეურაცხყოფის მიყენებისგან. მოვუსმინოთ მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელს ნინო სამადაშვილს.

**მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი ნინო სამადაშვილი:** ვთვლით, რომ ადმინისტრაციული საჩივარი არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით. მხარემ დაიწყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60[1] მუხლით, გადავიდა მე-5 მუხლზე, 53-ე მუხლზე და ა. შ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60[1] მუხლი ცნობს აქტის ბათილად ცნობას იმ შემთხვევაში, თუ არის დარღვეული მატერიალური თვალსაზრისით ისეთი კანონდარღვევა და ამ ფორმალური თვალსაზრისით ისეთი კანონდარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაშიც ამ საკითხზე სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება იქნებოდა შესაძლებელი. აი ეს მთავარი არის შემდგომ საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. რაც შეეხება სზაკ-ის მე-5 მუხლს, მხარე რასაც აპელირებს საზოგადოების ჩართულობასთან დაკავშირებით, იგივე გზშ-სგან გათავისუფლებასთან დაკავშირებით სწორედ სზაკ-ის მე-5 მუხლი ბოჭავს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომ კანონშესაბამისი გადაწყვეტილება მიიღოს. შესაბამისად, საზოგადოების ჩართულობა ვერ აიძულებს ადმინისტრაციულ ორგანოს თუ თვლის, რომ ასეთი გადაწყვეტილებაა მისაღები და რა თქმა უნდა, კანონიერ გადაწყვეტილებაზეა ლაპარაკი, რომ აუცილებლად ვთქვათ,

ერთ შემთხვევაში თუ საზოგადოებას ჩართავს მიიღებს კანონიერ გადაწყვეტილებას და მეორე შემთხვევაში, თუ საზოგადოებას არ ჩართავს უკანონო გადაწყვეტილებას მიიღებს, ეს არის საერთოდ აბსურდი და აცდენილი ამ ნორმასთან. რაც შეეხება, მე-7 მუხლს, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობას და ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას, კი ბატონო დისკრეციული უფლებამოსილება, რომ ჰქონდა სწორედ ამ საკითხებში მინიჭებული და ამ სპეციალური უფლებისთვის გამოიყენა ადმინისტრაციულმა ორგანომ, მგონი, ამას მხარე ისედაც არ ხდის სადავოდ. მე მეტი დრო, რომ არ წავიღო და სხვა წარმომადგენლებსაც მივცე პოზიციის დაფიქსირების საშუალება, იმ ფორმალურ მხარეებზე და სხდომის ოქმებზე აღარ გავამახვილებ ყურადღებას, რადგან მხარემ გამოითხოვა მასალები და საქმეშიც დევს. უბრალოდ აღვნიშნავ, რომ სპეციალურმა საბჭომ გზშ-სგან გათავისუფლების საკითხის განხილვისას ფორმალური მხრივ თავისი დისკრეციის ფარგლებში ყველა პროცედურა გაიარა, იმსჯელა და სწორედ გამოიყენა ეს დისკრეციული უფლებამოსილება საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის გათვალისწინებით. მხარე აღნიშნავდა, რომ საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა არ იყო დაცული და რა დაირღვაო. სწორედ, მივდივარ დასაშვებობის ეტაპზე და იმ პირდაპირ და უშუალო ზიანზე, რამაც შეიძლება განაპირობოს, რომ კერძო და საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე რომელი უფრო მეტი სიკეთეა ამ შემთხვევაში და ამ სიკეთის დასაცავად ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა გაეთავისუფლებინა გზშ-დან საქმიანობის განმახორციელებელი თუ არ უნდა გაეთავისუფლებინა. თვითონაც აღნიშნა, ჩვენ აქ მოცემულ ეტაპზე სახეზე გვქონდა ის სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობა, რის გამოც საქმიანობის განმახორციელებელმა საერთოდ დაიწყო და განცხადებით მიმართა ... დავამთავრებ თუ შეიძლება, ხელი მეშლება ... მოკლედ, გავაგრძელებ თუ შეიძლება. ანუ საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის გათვალისწინებით, სწორედაც, რომ პირდაპირი და უშუალო ზიანის ფაქტი სახეზე არ იყო და ადმინისტრაციული ორგანოს შესაფასებელი არ ჰქონდა ამ შემთხვევაში. თუმცა, კანონი კერძო ინტერესის შელახვას გარკვეული კომპენსაციის ხარჯზე მაინც უშვებს, მაგრამ აღვნიშნავ, ამ შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს არ ჰქონდა ეს განსახილველი და საქმიანობის განმახორციელებელი, რომელიც ადმინისტრაციულ

ორგანოს ამ შემთხვევაში სამინისტროს მომართავდა, რომ გზშ-დან გაეთავისუფლებინა, ის ასაბუთებდა გზს-დან გათავისუფლების მნიშვნელობას და შესაბამისად, პრობლემა ამ შემთხვევაში არ არსებობდა და კანონის საწინააღმდეგო მოცემულ შემთხვევაში არაფერი არ იყო, რომ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს უარი ეთქვა გზშ-სგან გათავისუფლებაზე. სად იდგა ის მეორე კერძო პირთა ინტერესი, კანონით დაცული რა თქმა უნდა, რომლის შელახვაც...

**ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი ზაზა წიკლაური:** და მაგას იტყოდით გზშ-სგან გათავისუფლების დროს...

**სხდომის თავმჯდომარე:** ბატონო ზაზა, გთხოვთ, თქვენ ხომ არ გაწყვეტინებდით?!

**მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი ნინო სამადაშვილი:** მე მესმის ადამიანური თვალსაზრისით, უბრალოდ ახლა რადგან სამართლებრივად უნდა გავყვე კანონიერების ფარგლებში შებოჭილი ვარ... ამიტომ, გზშ-სგან გათავისუფლების შემთხვევაში ჩვენ ვერ ვთვლით და არ არსებობს კანონის ნორმა, რომელიც დაირღვა და რომლის საფუძველზეც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს არ უნდა გაეთავისუფლებინა გზშ-დან. ამასთან, საჩივარში მითითებული იყო ისიც, რომ დოკუმენტაცია არ განიხილაო და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა ისეთ დოკუმენტაციაზე გასცა, რისი უფლებაც არ ჰქონდა ადმინისტრაციულ ორგანოსო. უბრალოდ, ეს იყო დაჩქარებულ ვადებში ნებართვის გაცემის მიზნით გზშ-დან გათავისუფლება და არა ის, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ გარკვეული სახის დოკუმენტაცია არ გამოიკვლია და მხოლოდ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების დროს გარკვეული ნაწილი გამოიყენა.

**ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის წარმომადგენელი ირმა მახათაძე:** თავს ვერ ვიკავებთ, ჩვენ სხდომის ოქმსაც გამოვითხოვთ, ძალიან საინტერესო გამოსვლა აქვს

**სხდომის თავმჯდომარე:** ჩვენ აქ იმისთვის ვართ, რომ ერთმანეთის

განსხვავებული აზრი მოვისმინოთ

**ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის წარმომადგენელი ნინო გუჯარაიძე:** კი, მაგრამ ჯერ ასეთი არ მოგვისმენია

**მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი ნინო სამადაშვილი:** გავაგრძელებ თუ ნებას მომცემთ. ანუ აქ იყო ასეთი შემთხვევა, რომ გზშ-დან გათავისუფლებისას საერთო განმარტებითი ბარათი იქნა განხილული, საველე კვლევის მასალები, ესენი ჩვენ დასაბუთებაშიც კი გვაქვს მითითებული, უბრალოდ აღარ ვკითხულობ, რომ დრო აღარ გავაგრძელოთ, მაგრამ ეს ყველა დოკუმენტი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების დროს ადმინისტრაციულმა ორგანომ განიხილა. ამას გარდა, „ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ძირითად აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ „წარმოდგენილი დოკუმენტაცია უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობას, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ გარემოს დაცვის ნორმებსა და სტანდარტებს, ასაბუთებდეს, რომ მასში მოყვანილი საქმიანობის განხორციელება განსაზღვრულ ადგილას და გარემოებაში არ გამოიწვევს გარემოს მდგომარეობის და ბუნებრივი რესურსების შეუქცევად ხარისხობრივად თვისობრივ ცვლილებებს. ითვალისწინებს გარემოზე ზემოქმედების შემცირების ან თავიდან აცილების ღონისძიებებს“. აღნიშნული ყველა იყო ეკოლოგიური ექსპერტიზის დროს განხილული. ეს იყო საერთო განმარტებითი ბარათი, რომელიც იძლეოდა იმ სრულ ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ, ტექნოლოგიური ციკლის აღწერა, რისკების გათვლა და აბსოლუტურად ესენი იყო ექსპერტიზის დასკვნებით და არა ის, რომ სპეციალისტს ზეპირი განმარტება გაეკეთებინა. აქედან გამომდინარე, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო მსჯელობს და იღებს გადაწყვეტილებას არსებული ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევისა და სამართლებრივი საფუძვლების გათვალისწინებით, შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე და თუ არ არსებობს მეორეს მხრივ, ამ ყველაფრის გამაქარწყლებელი ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც იტყვის, რომ არ შეიძლება ამის გაკეთება, როცა ამ კვლევებში ყველა ეს პირობა და შემარბილებელი ღონისძიებები იყო გათვალისწინებული. ამასთან, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა

მტკიცდება მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე ეტაპზე, როდესაც ადგილობრივი თვითმმართველობა, რომელიც საბოლოო ჯამში მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოა და ითანხმებს პროექტს, გვრთავს მეორე ეტაპზე, იმიტომ რომ ამ შემთხვევაში ამ ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა იყო საჭირო. თუმცა, დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზა ავტომატურად არ განაპირობებს მშენებლობის ნებართვის გაცემის დადებითად გადაწყვეტას. ეს ერთი მხარე, ახლა მეორე, ეკოლოგიური ექსპერტიზა მტკიცდება გარკვეული პირობებით. მე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო იმ შემთხვევაში ვამტკიცებ ეკოლოგიური ექსპერტიზას, თუ შენ საქმიანობის განმახორციელებელი დაიცავ ამ პირობებს და ეს პირობები გაჯერებულია სწორედ იმ გამოკვლევების შედეგად, რასაც საქმიანობის განმახორციელებელი განახორციელებს. მშენებლობის ნებართვის გაცემა ეს შემდგომი ეტაპია და დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაიცავს საქმიანობის განმახორციელებელი თუნდაც, მაგალითად იმ პირობას, რაც ეკოლოგიური ექსპერტიზაზე უდებს ანუ მშენებლობის გამცემის პრეროგატივაა, როდის მიიღებს ექსპლუატაციაში და სწორად განხორციელდა თუ არა კანონი. ამიტომ, აქედან გამომდინარე, ჩვენ დღეს ვმსჯელობთ გზშ-დან გათავისუფლების კანონიერებაზე და ეკოლოგიური ექსპერტიზის დამტკიცების კანონიერებაზე, რასაც ვთვლით და სამართლებრივადაც დასაბუთებულია, რომ არ არსებობს კანონის ის ნორმა, რომელიც დაარღვია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ და ის, რომ არ დაერღვია ამ საკითხზე სხვაგვარ გადაწყვეტილებას მიიღებდა. მაგალითად, არ გაათავისუფლებდა გზშ-დან და არ დაუმტკიცებდა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას. ანუ ეს არის აქ მნიშვნელოვანი. იქ არის პირობები და აი ამ პირობებში შეიძლება საქმიანობის განხორციელებაო. სწორედ ეს უთხრა სამინისტრომ. რაც შეეხება გზშ-დან გათავისუფლებას, იქ არ იყო ის კერძო პირების ინტერესი, რომელიც აუცილებლად განაპირობებდა საზოგადოების ჩართულობას იქიდან გამომდინარე, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს მხოლოდ ამ შემთხვევაში აქვს უფლება, რომ კანონიერი გადაწყვეტილება მიიღოს? ის ისედაც არის კანონისმიერი ვალდებულებით შებოჭილი, რომ ნებისმიერ შემთხვევაში მიიღოს კანონიერი გადაწყვეტილება და აქედან გამომდინარე,

ხელმძღვანელობს იმ ნორმებით, რაც კანონმდებელმა მას დაუწესა. მოითხოვა გზშ-დან გათავისუფლების შემთხვევაში იმაზე მეტი დოკუმენტი, ვიდრე ევალებოდა. გამოითხოვა კერძო მესაკუთრეთა თანხმობები, მათ შორის იყო ეკონომიკის სამინისტროს თანხმობა, საპატრიარქოს თანხმობა, ანუ ვის ინტერესსაც ლახავდა, ვინც მესაკუთრეები იყვნენ.

**ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის წარმომადგენელი ნინო გუჯარაიძე:** თქვენ იმას ამბობთ, რომ ეს არ გევალებოდათ? რას ქვია არ გევალებოდათ? საიდან მოიტანეთ?

**მოწინააღმდეგე მხარის - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი ნინო სამადაშვილი:** ...და იმაზე მეტი გარემოზე ზემოქმედების ნებართვის დროს, სხდომა სწორედ ამის გამო გადაიდო, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპისთვის არ იყო ამ დოკუმენტაციის წარმოდგენა საჭირო და კანონი არ ავალებდა, მაინც მოსთხოვა. იქ იყო სერვიტუტით დატვირთული ანუ ვისაც კერძო საკუთრება ჰქონდა მათი ინტერესიც იქნა გათვალისწინებული. სახელმწიფო საკუთრება რაც იყო და საპატრიარქოს ტერიტორიას, რაც მოიცავდა უშუალოდ მიწის მესაკუთრეების მიერ იყო თანხმობები გაცემული. მათი თანხმობები, რომ არ ყოფილიყო დავდგებოდით იმ კერძო ინტერესთან მიმართებაში, რომ ემსჯელა საბჭოს, მაგრამ ერთი მხრივ, იყო საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა - საჯარო ინტერესი, რომელიც მეც და ნებისმიერ მოქალაქეს მოიცავს და ნებისმიერის ინტერესში შედის და მეორე მხრივ, ვისი კერძო ინტერესიც იყო იქ მათი თანხმობები აღნიშნული საქმიანობის განხორციელებაზე საქმეში იდო. მიუხედავად გზშ-დან გათავისუფლებისა, ყველა ის დოკუმენტი იყო განხილული, რისი განხილვაც ევალებოდა ადმინისტრაციულ ორგანოს. მაგრამ მხარემ ამაზეც გაამახვილა ყურადღება საერთო ჯამში უფრო მეტი დრო დაიკარგაო, მაგრამ წინასწარ შენ ამას ვერ გათვლი ვერასდროს. შესაბამისად, მე რატომ უნდა შევუზღუდო დღეს არსებული რეალური უფლება, რა მნიშვნელობა აქვს ვინ იქნება ფიზიკური პირი იქნება თუ იურიდიული პირი. კანონი ყველას თანაბრად იცავს. მე როცა ადმინისტრაციული ორგანო ვარ და შემომდის კონკრეტული

განცხადება, ვალდებული ვარ ვიმსჯელო ამ არსებულ უფლებაზე. თუ ვინმეს პრეტენზია აქვს, პირველ რიგში უნდა ვნახო რამდენად არის მისი პრეტენზია მისაღები ამ ჩემი გადაწყვეტილებით ან თუნდაც ამ განცხადების დაკმაყოფილებით, მის კანონით დაცულ უფლებასა და ინტერესს თუ მიადგა ზიანი, აი ამ შემთხვევაში უნდა ვიმსჯელო კერძო და საჯარო ინტერესების გათვალისწინებით. თუმცა, მე კანონი არ მიკრძალავს, რომ პრიორიტეტი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობას მივანიჭო, მაგრამ გარკვეული კომპენსაციის ხარჯზე. ეს კომპენსაციები სერვიტუტით იქნა გათვალისწინებული, როცა კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთია დაიტვირთა. აქედან გამომდინარე, მატერიალური თვალსაზრისით აქტის ბათილობის საფუძველი, მე ვთვლი, რომ დღეის მდგომარეობით არ არსებობს. ფორმალური მხარეც არ არის დარღვეული თუმცა, რომც იყოს დარღვეული ის აქტის ბათილად ცნობას ვერ განაპირობებს იქიდან გამომდინარე, რომ პირდაპირი და უშუალო ზიანი არ არის და ამასთანავე, კანონის ნორმა რომელი დაირღვა, რომელიც, კიდევ ერთხელ განვმეორდები, რომ არ დარღვეულიყო სხვაგვარ გადაწყვეტილებას მიაღებინებდა ადმინისტრაციული ორგანო. შესაბამისად, ვთვლით, რომ არ უნდა დაკმაყოფილდეს ადმინისტრაციული საჩივარი. სამინისტრო ბოლომდე დაიცავს საკუთარ პოზიციას. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს იმ ნორმების დარღვევა, თუნდაც საზოგადოების ჩართულობასთან მიმართებაში, რადგანაც კანონი გზშ-დან როდესაც ათავისუფლებს, რომც ჰქონოდა პირდაპირი ვალდებულება მაინც ვერ იქნებოდა ეს აქტის ბათილად ცნობის საფუძველი. შესაბამისად, ვთვლით, რომ ადმინისტრაციული საჩივრის ავტორს უარი უნდა ეთქვას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

**სხდომის თავმჯდომარე:** ქალბატონო თამარ, თქვენ ხომ არ დაამატებდით რამეს?

**მოწინააღმდეგე მხარის თამარ შარაშიძე:** აღვნიშნავ იმას, რომ სამინისტრო, როგორც მთლიან ეტაპზე გზშ-სგან გათავისუფლების პროცედურების დროს არ იხილავს მიწის საკუთრების საკითხს, იქიდან გამომდინარე, რომ ეს არის მშენებლობის ნებართვის გამცემის პირდაპირი ვალდებულება, რომ მშენებლობის ნებართვა გასცეს იმ

შემთხვევაში, თუ ეს მიწა იქნება სახელმწიფოს ან თავისი საკუთრება. ეს ხდება მშენებლობის ნებართვის გაცემის პირველ ეტაპზე, მშენებლობის ნებართვის გაცემა არის სამ ეტაპიანი: პირველი ეტაპი არის მიწის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა, მეორე არის პროექტის ექსპერტიზა, სადაც ჩვენ ვერთვებით ეკოლოგიური ექსპერტიზაზე, მესამე არის მშენებლობის ნებართვის გაცემა. როგორც ჩემთვის ცნობილია, მშენებლობის ნებართვა გაიცემა ამ უკვე მასზე საკუთრების მიწის უფლებით ვინც არის მშენებლობის ნებართვის მიმღები ან მშენებლობის ნებართვა ავალდებულებს პირობით, რომ ეტაპობრივად მოახდინოს იმ მიწის ნაკვეთების შესყიდვა, სადაც დაგეგმილია საქმიანობის განხორციელება. აქედან გამომდინარე, ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ გარემოს დაცვის სამინისტრო მსჯელობს მიწის საკუთრების უფლებაზე ნებისმიერ პროექტთან მიმართებაში.

**დაინტერესებული პირის წარმომადგენელი ლევან ქევხიშვილი:** ვეთანხმები სამინისტროს პოზიციას. დავიწყებ სამართლებრივი საფუძვლიდან. მხარემ აქცენტი გააკეთა სზაკ-ის მე-60[1] მუხლზე და აღნიშნა, რომ პირველი და მეორე მუხლების საფუძველზე ბათილი უნდა იყოს ეს აქტები. მოდით ვნახოთ რა წერია პირველ ნაწილში. პირველ ნაწილში წერია, რომ აქტი ბათილია თუ ის ეწინააღმდეგება კანონს და დარღვეულია მისი გამოცემისა და მომზადების წესი. მაგრამ თავის ვრცელ ადმინისტრაციულ საჩივარში ვერსად ვერ მიუთითა, თუ რატომ ეწინააღმდეგება, მე ვსაუბრობ ამ შემთხვევაში გზშ-დან გათავისუფლების ბრძანებაზე. არსად არ მიუთითებია კონკრეტული საფუძვლები. გადავიდეთ „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლზე. ამ მუხლში ვკითხულობ, საქმიანობა შეიძლება გათავისუფლდეს გზშ-სგან თუ საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესი მოითხოვს საქმიანობის დაწყებას და ამის შესახებ გადაწყვეტილების დროულად მიღებას. აქ ორი პირობაა: შემჭიდროვებული ვადები და სახელმწიფო მნიშვნელობა. მხარემ აღნიშნა, რომ 2010 წელში იცოდაო, 2011 იცოდაო. გვერდი აუარა იმას, რომ ეს პროექტი იყო თუ არა სახელმწიფო მნიშვნელობის ზოგადად და ამისათვის კონკრეტულად რა ვადა გვქონდა ჩვენ. ენერგეტიკის მინისტრის ბრძანებით არის დამტკიცებული 2015 წლის 31 დეკემბრის ეგ ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა. ჩვენ ბევრი რამე ვიცით 2025

წელში რა უნდა მოხდეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე პროექტირებასთან დაკავშირებით რეკონსტრუქციის მომზადება დღეს უნდა დავიწყო. როდესაც ბრძანებს, რომ ჩვენ ვიცოდით, რომ „დარიალ ჰესი“, „ყაზბეგი ჰესი“, „ლარსი ჰესი“ შენდებოდა ბუნებრივია ესეც იმას არ ნიშნავდა, რომ ჩვენ ამ რომელიმე ჰესიდან ერთ-ერთის მშენებლობის დაწყების პროცესში მყისიერად რეკონსტრუქცია უნდა დაგვეწყო რომელიმე ხაზის, იმიტომ რომ იქ ბევრი ტექნიკური ნიუანსია სიმძლავრე, ხაზის გამტარუნარიანობა და ა. შ. მაგრამ რაც ყველაზე მთავარია ჩვენ არ ვიცოდით მარშრუტი, სად გაივლიდა ეს ხაზი. არსებული მარშუტი, რომელიც დამტკიცდა ეს მარშრუტიც შეიცვალა ანუ თუ მარშუტი არ იცი, ბუნებრივია ვერც გეოლოგიურ კვლევას, ვერც ექსპერტიზას, ვერაფერს ვერ აიღებ. ამისათვის გჭირდება გარკვეული წინაპერიოდი მომზადებისთვის, იმისათვის, რომ განსაზღვრო შენ აი იმ წერტილში, როდესაც უნდა მიხვიდე და ეს ნებართვა, უკვე აღმჭურველი აქტი შენს მიმართ უნდა გამოიცეს, შენ გაქვს თუ არა ის ვადა, რასაც მხარე 50-60 დღე საჩივარში რომ უთითებს და შესაბამისად შენ როგორ უნდა იმოქმედო. მოგეხსენათ, რომ ჩვენი ჰიდროელექტორსადგურების მიერ გამომუშავებული ენერგია სრულად ვერ უზრუნველყოფს სისტემის, როგორც მდგრადობას, ისე უსაფრთხოებას და გარკვეულწილად ჩვენი ენერგოსისტემა მთლიანად საქართველოს ენერგოსისტემა დამოკიდებულია სხვა ქვეყენების ენერგოსისტემიდან შემოდინებულ ენერგიაზე, რომელსაც ჩვენ პარალელურ რეჟიმს ვეძახით, რომლის ერთი მხარე არის სუსტი, წყლის პრინციპია ანუ სადაც არის დახრილობა ანუ ნაკლებობა ენერგიები გადაედინება მეორე მხარეს, ანუ ძლიერი ენერგიიდან გადმოდინება ხდება მეორე მხარეს. ანუ ჩვენ დღესაც პარალელურ რეჟიმში გვიწევს ჩვენ მეზობელ ენერგოსისტემებთან მუშაობა. ამისათვის, რა არის საჭირო? ამისათვის საჭიროა, გაჩნდეს დამატებითი ენერგიის წყარო, რას აკეთებს დამატებითი ენერგიის წყარო? უზრუნველყოფს სისტემის დამოუკიდებლობას, ამყარებს სიტემის მდგრადობას და უსაფრთხოებას. ანუ ჩნდება დამატებითი წყარო, რომელიც ჩვენ გვაძლევს საშუალებას პარალელურ რეჟიმში ნაკლები ენერგია წამოვიღოთ იგივე აზერბაიჯანის ელექტროსისტემიდან, სომხეთის ელექტროსისტემიდან, რუსეთის ელექტროსისტემიდან და ნაკლები ვალუტა გავიდეს ქვეყნიდან იმისათვის, რომ ჩვენ მოვიხმაროთ ადგილობრივი რესურსი. ამიტომ

არის, რომ ზამთარში ენერგო ჰიდროელექტროსადგურები შეზღუდულნი არიან გაიტანონ ენერგია ექსპორტზე. იმისათვის, რომ ეს ენერგია დარჩეს საქართველოში. ანუ ამიტომ მე ვუბრუნდები ისევ „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის“ შესახებ საქართველოს კანონის პირველ მუხლს, სადაც წერია, სახელმწიფო მნიშვნელობა. ზუსტად ამიტომ იყო ეს პროექტი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის, იმიტომ რომ იმ რეგიონში, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ხდებოდა სამი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა რომელთაც დადგმული ელექტრო სიმძლავრე იყო 134 მეგავატი. ბუნებრივია, ჰიდროელექტროსადგური ჯერ იმისათვის, რომ იფუნქციონიროს მთლიან ერთიან ელექტროსისტემას უნდა დაამაგრო და შემდეგ ეს უნდა გამოიტანო მათ მიერ გამომუშავებული ენერგია. შესაბამისად, ალბათ იმის მტკიცება, რომ ეს პროექტი იყო თუ არა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის, ვფიქრობთ, ჩემს მიერ გაცხადებული განმარტების საფუძველზე, ჩვენს პროცესუალურ მოწინააღმდეგეებსაც იმის ეჭვიც არ უნდა გაუჩნდეს, რომ ეს პროექტი სახელმწიფო მნიშვნელობისაა და უზრუნველყოფს ქვეყნის ენერგოსისტემის სტაბილურობასა და მდგრადობას. რაც შეეხება შემჭიდროვებულ ვადებს და საჩივარში გაჟღერებულ მოსაზრებას, თითქოს, მითითებულია საჩივრის მე-7 გვერდზე, პირველ აბზაცში მინიმუმ 60 მაქსიმუმ 75 დღეაო და სსე-ს 78 დღე დაჭირდაო. ბუნებრივია არასწორია იმიტომ, რომ მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები აშკარად ეწინააღმდეგება ამ გარემოებას და რატომ? იმ წერილში, რომლითაც ჩვენ მივმართეთ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დათარიღებულია 4 დეკემბრით. ესე იგი, ათვლა იწყება 5 დეკემბრიდან, პირველი აქტი რომელიც გარემოს დაცვის სამინისტრომ გასცა გზშ-დან გათავისუფლების შესახებ, გამოცემულია 5 იანვარს ანუ 30 დღეში მოხდა გზშ-დან გათავისუფლება. მხარე აქ 78 დღეს მთლიანობაში იძახის. მხარე კონკრეტულად არ უთითებს მუხლს, არც მე დავკონკრეტდები, მაგრამ იქ პირდაპირ წერია 5 დღე გასწორებისთვის და ასე შემდეგ, მაგრამ ზუსტადაც ეს ვადაც დაიცვა გარემოს დაცვის სამინისტრომ და გზშ-დან გათავისუფლების ბრძანება გამოსცა ერთი თვის ვადაში. არანაირი 78 დღე ამისათვის არ ყოფილა საჭირო. აქ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტია, რაზეც მინდა ყურადღება გავამახვილო. თითქოს მხარე აცხადებს, რომ არის ყაზბეგის რაიონის მკვიდრი,

ყაზბეგის რაიონში ცხოვრობს, მაგრამ კონკრეტულად სად ცხოვრობს ყაზბეგის რაიონი დიდია და რომელ სოფელში ცხოვრობს, უცნობია...

**ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი ზაზა წიკლაური:** სოფელ სნოში

**დაინტერესებული პირის წარმომადგენელი ლევან ქევხიშვილი:** მეც ვცხოვრობ სნოში, დამიჯერებთ?

**ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი ზაზა წიკლაური:** თქვენმა კომპანიამ კარგად იცის სადაც ვცხოვრობ

**სხდომის თავმჯდომარე:** გთხოვთ, ნუ იკამათებთ

**დაინტერესებული პირის წარმომადგენელი ლევან ქევხიშვილი:** პირადობის მოწმობით მეც სნოში ვცხოვრობ. ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ ყაზბეგის რაიონში ცხოვრობს. ყაზბეგის რაიონი არის დიდი, ხომ მეთანხმებით, რომ დიდია?

**ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის წარმომადგენელი ნინო გუჯარაიძე:** დიახ, დიდია გეთანხმებით, მერე?

**ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი ზაზა წიკლაური:** წაგიყვანთ და მამაჩემის საფლავზე მიგიყვანთ თუ გინდათ. რა ლაპარაკია ეს. რას ნიშნავს ეს?

**სხდომის თავმჯდომარე:** ბატონო ზაზა, ქალბატონო ნინო გთხოვთ, თავი შევიკავოთ.

**დაინტერესებული პირის წარმომადგენელი ლევან ქევხიშვილი:** სხვა გარემოებაზე მინდოდა მე ყურადღების გამახვილება. ტონს დაუწიეთ თუ შეიძლება.

**ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი ზაზა წიკლაური:** რა სხვა გარემოებაზე მელაპარაკები, რა ტონს დავუწიო, მოხევე არა ხარო, ცნობილი არა ხარო, რანაირად მელაპარაკები? აგიყვან და მამაჩემის

საფლავსაც გაჩვენებ და პაპაჩემის საფლავსაც

**სხდომის თავმჯდომარე:** ბატონო ზაზა, გთხოვთ თავი შეიკავოთ

**ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის წარმომადგენელი ნინო გუჯარაიძე:** კარგით დაწყნარდით (მიმართავს ზაზა წიკლაურს)

**ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი ზაზა წიკლაური:** რას ნიშნავს ეს ლაპარაკი, დაცინვაა, შეურაცხყოფაა, რას ქვია ამას ვერ გავიგე. მასპინძელი თქვენ ხართ და ნუ აძლევთ მაშინ ასეთი თავხედობის უფლებას, რას ნიშნავს ეს, მაშინ ქართველი არა ვარ, მოხევე არა ვარ, რას ნიშნავს ეს?

**დაინტერესებული პირის წარმომადგენელი ლევან ქევხიშვილი:** სიტყვები შეარჩიეთ, ქუჩაში არ ვართ მთავრობის ადმინისტრაციაში ვართ

**სხდომის თავმჯდომარე:** ბატონო ზაზა, გთხოვთ, შეიკავოთ თავი

**ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი ზაზა წიკლაური:** არ გეტყობა თქვენ რაღაც

**სხდომის თავმჯდომარე:** ბატონო ზაზა, გთხოვთ, დატოვოთ განხილვის ოთახი

**ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი ზაზა წიკლაური:** კი ბატონო, ეს თუ არის განხილვა სადაც მეუბნებით, რომ მე არც ქართველი ვყოფილვარ, არც მოხევე

**სხდომის თავმჯდომარე:** ვინ გეუბნებათ ბატონო ზაზა

**ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი ზაზა წიკლაური:** ვინ მეუბნება და თქვენი სტუმარი მეუბნება ამას, თქვენ არ იცით აი ამ საჩივარსაც მართმევთ ახლა. რაც აქ ითქვა ტყუილი ითქვა. განა ვინმე საკარტოფილეზე დავობს აქ ან განა ვინმე ბოსტანზე დავობს აქ, სახელმწიფო ინტერესზე ვდაობთ

**სხდომის თავმჯდომარე:** ბატონო ზაზა, გთხოვთ, დატოვოთ დარბაზი.

**ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი ზაზა წიკლაური:** ...სოფლის მკვლელები ხართ თქვენ, უკიდურესი ჩრდილოეთ საზღვარზე მდებარე სოფლის მკვლელები ხართ თქვენ შენ და შენ და თქვენც (მიმართავს ელექტროსისტემების და სამინისტროს წარმომადგენლებს).

*ზაზა წიკლაურმა დატოვა სხდომის ოთახი.*

**დაინტერესებული პირის წარმომადგენელი ლევან ქევხიშვილი:** ყაზბეგის რაიონი არის ზოგადად ძალიან დიდი რაიონი. კონკრეტულად საქმეში არ არის წარმოდგენილი იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი ნამდვილად ცხოვრობს სოფელ სნოში, ეს არის მისი ზეპირი განმარტება, მაგრამ რაც მე მინდოდა მეთქვა, რაც მთავარია აქ აქცენტი გაკეთებული იქნა ისე თითქოს, სსე-მ მიითვისა, რაღაც პოლიგონები დაირეგისტრირა, თითქოს მესაკუთრეებს რაღაც პირობები არ შესთავაზა, არ შეუთანხმა, კომპენსაცია არ გადაიხადა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი აქ არის ის, რომ მოხდა არსებული ხაზის რეკონსტრუქცია. ხაზი, რომელიც გადიოდა და ხაზი, რომელიც...

**ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის წარმომადგენელი ნინო გუჯარაიძე:** რეკონსტრუქციაზე გაეცით ნებართვა? (მიმართავს სამინისტროს წარმომადგენლებს)

**დაინტერესებული პირის წარმომადგენელი ლევან ქევხიშვილი:** ერთი წუთით სხვა რამეს ვიძახი, ტრასა შეიცვალა, მაგრამ როგორ შეიცვალა. სოფლის სიღრმეში კი არ შევიდა, სოფლიდან გადაიწია და 250 მეტრით ანუ სოფლიდან გაიწია, არსებულმა ხაზმა განიცადა მარშუტის ცვლილება და ხაზი გადავიდა 300 მეტრის იქით. თუკი ვსაუბრობთ ზიანზე, მხარემ უნდა დაადასტუროს კონკრეტულად რა ზიანი ადგება, რეალურად უკეთესი პირობა შეექმნა. იყო სოფელში და გავიდა სხვაგან.

**ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის წარმომადგენელი ნინო**

**გუჯარაიძე:** ამის დადასტურება რომ შეეძლოს ადამიანს სხდომაზე უნდა იჯდეს და მე მგონი ზოგადად ადმინისტრაციული წარმოება ამის უფლებას აძლევს და დაინტერესებულ პირებს უნდა მოუსმინოთ

**სხდომის თავმჯდომარე:** ქალბატონო ნინო, მაქსიმალურად მოვუსმინეთ, შევეცადეთ, გავაფრთხილე, მაგრამ ემოციები იყო ისეთი ჭარბი, მოხევე კაცს ვერ გავაჩერებდი მე აქ. ხანჯალი, რომ ჰქონოდა ამოიღებდა

**ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის წარმომადგენელი ნინო გუჯარაიძე:** წესით უნდა ამოეღო

**სხდომის თავმჯდომარე:** გთხოვთ, ბატონო ლევან გააგრძელეთ.

**დაინტერესებული პირის წარმომადგენელი ლევან ქევხიშვილი:** მადლობა, მე დავამთავრე, ჩემი კოლეგა დაამატებს

**დაინტერესებული პირის წარმომადგენელი თინათინ ჟიჟილაშვილი:** აქ იყო ნათქვამი, რომ გზშ-სგან გათავისუფლება ნიშნავს მხოლოდ პროცედურების გავლას და გზშ მაინც წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო. ამ კანონმდებლობით ეს ასე ნამდვილად არ არის, პროცედურისგან ანუ საჯარო განხილვებისაგან გათავისუფლებაზე იყო აქცენტი და საუბარი იყო იმაზე, რომ გზშ-სგან გათავისუფლება იმიტომ მოხდა, რომ გავთავისუფლებულიყავით იმ 50-დან 60 დღემდე, რაც არის წინასწარი განხილვისთვის დადგენილი და გზშ მაინც უნდა წარმოგვედგინა. ასე არ არის, გზშ-დან გათავისუფლება ნიშნავს გზშ-დან გათავისუფლებას, გზშ-ს დოკუმენტი არ უნდა იყოს მომზადებული და წარმოდგენილი, თუმცა, მე ვერ ვიტყვი და გზშ დოკუმენტი ელექტროსისტემის მიერ მომზადებული არ იყო. ის დოკუმენტი, რაც სამინისტროში იყო წარდგენილი მოიცავდა ყველა იმ საკითხს, რაც არის გათვალისწინებული გზშ-ს დებულებით, ყველა საველე კვლევის ანგარიში და ყველანაირი კვლევის ანგარიში იყო ამ დოკუმენტში ჩადებული და ყველა ის ინფორმაცია, რასაც უნდა მოიცავდეს გზშ-ს ანგარიში და რისი განხილვის საშუალებაც აქვს გარემოს დაცვის სამინიტროს წარდგენილი იყო ნამდვილად და მათ აღნიშნულის საფუძველზე გასცეს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. კიდევ მინდა

დავამატო ისიც, რომ მხარემ რამდენჯერმე ახსენა ლევან ლომინაძე

**სხდომის თავმჯდომარე:** აღნიშნული არ არის შემხებლობაში დავის საგანთან და მოთხოვნებთან.

**დაინტერესებული პირის წარმომადგენელი ლევან ქევხიშვილი:** დავამატებ, თუ შეიძლება. როდესაც აღვნიშნე, რომ არ არსებობს ბათილობის საფუძველი, იქ ერთ-ერთი მოტივი არის ის, რომ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონს და ჩვენ ვხედავთ, რომ ასეთი უფლებამოსილება, ასეთი დისკრეცია გარემოს დაცვის სამინისტროს გააჩნია. ამის საწინააღმდეგო რაიმე არგუმენტი მხარეს არ წარმოუდგენია. კანონი აძლევს ასეთ დისკრეციულ უფლებამოსილებას ორგანოს, რომ მას შეუძლია საკითხი გადაწყვიტოს საჯარო განხილვითაც და ამის გარეშეც. და ამ გზით საკითხი, როგორც გადაწყდაა არის კანონიერი, რადგან სხვისი უფლებები არ დარღვეულა და არც ზიანი არ მიყენებია. თუ რატომ არის მის მიერ გამოყენებული ეს საშუალება კანონსაწინააღმდეგო, აღნიშნულთან დაკავშირებით ერთი მოსაზრებაც, ერთი სიტყვაც არ გაგვიგია ჩვენ მოწინააღმდეგე მხარისგან.

**მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი თამარ შარაშიძე:** დავამატებ, რომ დასკვნა გაცემული როგორც რეკონსტრუქციაზე, ასევე მშენებლობაზე და შემდგომ ექსპლუატაციაზე.

**დაინტერესებული პირის წარმომადგენელი ლევან ქევხიშვილი:** მოკლედ მოგახსენებთ, ეს არის ზოგადად სხვა დავის საგანი. მხარეს გასაჩივრებული აქვს მცხეთის რაიონულ სასამართლოში ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული მშენებლობის ნებართვა, რომლითაც შეთანხმებული იქნა მშენებლობის პროექტი და იქაც დავობს, რომ თითქოს 110 კილოვოლტიანი ხაზი 220 კილოვოლტიანი ხაზია. მაშინ მე გარკვეულწილად თქვენც ჩაგაყენებთ საქმის კურსში, რადგან მოხდა სამი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ბუნებრივია დადგმულმა სიმძლავრემ მოიმატა რეგიონში. არსებული ხაზი უზრუნველყოფდა 75 მეგავატამდე ნეიტრონების გატარებას. როდესაც სიმძლავრე გაიზარდა დღის წესრიგში დადგა ხაზის კვეთის გაზრდის საკითხი, გამტარუნარიანობის გაზრდის საკითხი. შესაბამისად, როდესაც 110

მეგავატი უნდა გამოიტანო, შეიძლება დაბალი კვეთის ხაზითაც გამოიტანო, შეიძლება საშუალო და მაღალი კვეთის ხაზით, მაგრამ ისმის მთავარი კითხვა - რამდენი იქნება ტექნიკური დანაკარგი, მე შეიძლება ა პუნქტიდან ბ პუნქტამდე რაღაცა ნივთი გადავაადგილო, მაგრამ მე თუ ამისთვის დამჭირდა იმაზე მეტი ენერგიის დახარჯვა, ვიდრე სხვაგვარად ამ საკითხს გადავწყვეტდი, ამისათვის მე ვირჩევ იმ საშუალებას, რათა ნაკლები დანაკარგის საფუძველზე მოვახდინო ამ ელექტრონების გამოტანა რეგიონიდან. არსებული ხაზის შემთხვევაში, კი არსებული ხაზის მშენებლობა უზრუნველყოფდა რაღაცა ეტაპზე გამოტანას, მაგრამ დანაკარგი იყო 20-დან 25%-მდე ელექტრო ენერგია. ამიტომ კვეთის შეცვლით, კვეთის გაზრდით ტექნიკური საკითხი დაისვა, გაუძლებდა თუ არა ანძის ანუ საყრდენის 110-იანი ამპერები უკვე ორჯერ გაზრდილ სიმძიმეს. არსებული ხაზის ტონაჟი ,რომ ავიღოთ 1 ტონა არის დაახლოებით 650-670 კილობაიტი და გაზრდილი კვეთის შემთხევაში ეს იზრდებოდა ორზე ცოტა უფრო მეტჯერ 1280 კილობაიტი და ამპერები ვერ გაუძლებდა შესაბამისად ამ დატვირთვას. მაგრამ ამას დაემატა ისიც, რომ რთული რელიეფია. მსოფლიოში ყველგან გინახიათ ყველგან არის გარკვეული ზღვარი აქვს ამპერებს 250-300 მეტრი, სადაც შეიძლება ნორმალურ პირობებში გატარდეს, დასავლეთში, რომ მიბრძანდებით არის 250-300 მეტრის დაშორებით დგას, მაგრამ აქ რთული რელიეფის გამო ერთი მთიდან მეორე მთაზე მანძილი არის ერთი კილომეტრი და 150 მეტრი ანუ კილომეტრს უნდა გაუძლოს. ესე იგი, ჯერ ისიც ვერ უძლებს 250 მეტრზე დატვირთვას და შემდგომ კილომეტრის დატვირთვას, რასაც ერთვის ქარი, ქარიშხალი, წვიმა, თოვლი, ყინვა, ყინვაც ხომ ზემოქმედებს გარკვეულწილად ხაზზე და სხვა ბევრი პროცესია, ამიტომ გადაწყდა თვითონ ანძის გაძლიერება. ანუ საყრდენი გაძლიერდა და დადგა 220-იანის საყრდენი, რომელიც ამ დატვირთვას უძლებს და ასეთი მაგალითები მთელ მსოფლიოშია. ჩინეთში მაგალითად, 500 კილოვოლტიან ხაზებზე 750 კილოვოლტიანი ანძებია და საქართველოში თვითონ მაგ რეგიონში ხაზი გუდაური რომელიც არის 35 კილოვოლტიანი ხაზია, მაგრამ 110-იანის საყრდენებზეა განლაგებული იმიტომ, რომ მთიანი რელიეფი არ იძლევა იმ დატვირთვის საშუალებას. ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ 220 კილოვოლტი ანძის გაბარიტებში 110 კილოვოლტიან ხაზია გაჭიმული, რომელიც უზრუნველყოფს 110 კილოვოლტის გამოტანას. იქ კიდევ სხვა

გარემოებებიც არის, რასაც აქ არ ვიტყვი. თვით მცხეთა-მთიანეთის რეგიონში 220 კილოვოლტიანი ინფრასტრუქტურა არ არსებობს. ქვესადგური უნდა იყოს შესაბამისი. მცხეთა-მთიანეთის რეგიონი მთლიანად არის 110 კილოვოლტიანი. ანუ ეს ხაზი აკავშირებს ორ ასეთ კილოვოლტიან ქვესადგურს „დარიალ ჰესს“ „ყაზბეგის ჰესთან“.

**ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის წარმომადგენელი ნინო გუჯარაიძე:** კილოვოლტიანია ხომ ნამდვილად, კილოვატიანი ხომ არ არის? ეკოლოგიური ექსპერტიზა ვატიანზეა ჩატარებული.

**დაინტერესებული პირის წარმომადგენელი ლევან ქევხიშვილი:** მე არ ვარ ენერგეტიკის სპეციალისტი, იურისტი ვარ და ეს არ არის მნიშვნელოვანი საკითხი.

**სხდომის თავმჯდომარის შეკითხვაზე:** საჩივრის ავტორის მთავარი არგუმენტი არის ის, რომ გზშ-სგან გათავისუფლებას უფრო მეტი დრო დაჭირდაო. მაინტერესებს, გზშ-საგან გათავისუფლებისას როდესაც საბჭოს სხდომა გადაიდო და მეტი დრო დაჭირდა განხილვას, თუ იყო შესაძლებელი ამის გამო საბჭო უკან დაბრუნებოდა განხილვის დაწყების პროცესს და ეთქვა საქმიანობის განმახორციელებელისთვის, რომ გზშ-სთვის დაწესებული ვადებით ეხელმძღვანელა და მოეთხოვა გზშ-ს წარმოდგენა?

**მოწინააღმდეგე მხრის წარმომადგენელი თამარ შარაშიძე პასუხობს:** საბჭო არის მინისტრის სათათბირო ორგანო, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას და სთავაზობს მინისტრს გათავისუფლდეს თუ არ ესა თუ ის ობიექტი გზშ-სგან. საბჭომ პირველ სხდომაზე იმსჯელა და მოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც კონკრეტულად არ ეხებოდა გარემოზე ზემოქმედების კუთხით მიმდინარე იქ განვითარებულ პროცესებს. სწორედ იყო საბჭოს მოთხოვნა ის, რომ დადგინდა კოორდინატების მიხედვით, რომ იქ იყო ეკონომიკის სამინისტრო ჩართული მიწასთან დაკავშირებით, სადაც უნდა გასულიყო საბაგირო ხაზი, იყო საპატრიარქო ჩართული იქიდან გამომდინარე, რომ მიჩენის წესით ჰქონდა გადაცემული მიწის ნაკვეთები და გამოიკვეთა, რომ იქ იყვნენ სხვადასხვა მიწის მფლობელები. აქედან გამომდინარე,

საბჭომ თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოითხოვა. თუმცა, შეეძლო არ მოეთხოვა, რადგან მიწა არ არის გარემოს დაცვის სამინისტროს კუთხით განსახილველი საკითხი, როგორც საკუთრება, ისე იჯარა და ასე შემდეგ. ეს ეხება მშენებლობის ნებართვის გამცემს. აქედან გამომდინარე, გადადო საბჭოს სხდომა. თუმცა, პირველივე სხდომაზე შეეძლო ემსჯელა გათავისუფლებაზე. საბჭომ, ასევე მოიწვია სსე-ს წარმომადგენელი, რომელმაც წარმოადგინა დამატებითი დოკუმენტაცია, რის შემდეგაც 28 დეკემბერს შედგა ოქმი, შემდეგ ახალი წლები იყო, რისი გათვალისწინებითაც მინისტრის ბრძანება გათავისუფლების შესახებ გამოიცა 5 იანვარს. იქ იყო რამდენიმე საბჭოს შენიშვნა, რომელიც გადაეგზავნა კომპანიას, რომ საბოლოო დოკუმენტის წარმოდგენის დროს გათვალისწინებული ყოფილიყო, მაგრამ მეორე ეტაპზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღების მიზნით, სამინისტროში დოკუმენტაცია შემოდის იმ ორგანოდან, რომელიც გასცემს მშენებლობის ნებართვას. აქედან გამომდინარე, ის თუ თებერვალში გაიცა დასკვნა, სამინისტროს ბრალი არ არის. ყაზბეგის მუნიციპალიტეტმა რა დროსაც მომართა გარემოს დაცვის სამინისტროს მეორე ეტაპზე ჩართვის მიზნით, იმ დროს ჩაერთო სამინისტრო. 5 იანვრიდან 19 თებერვლამდე რატომ დაიკარგა დრო, ეს ჩვენ არ ვიცით. იგივე პროცედურა იქნებოდა გასავლელი, რომ წასულიყო გზშ-თი ჩვეულებრივად იგივენაირად ხდება სამინისტროს ჩართვა ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ. აქედან გამომდინარე, კომპანია და მშენებლობის ნებართვის გამცემს შორის ხდება პირველი ეტაპის გავლა, უბრალოდ, მეორე ეტაპზე ვერთვებით ჩვენ, როგორც სხვა ადმინისტრაციული ორგანო.

**სხდომის თავმჯდომარის შეკითხვაზე:** გასაგებია, ანუ გზშ-დან გათავისუფლების პირობებში საკითხის განხილვაში საბჭო დროის შემცირებას ვერ შეძლებდა?

**მოწინააღმდეგე მხრის წარმომადგენელი თამარ შარაშიძე პასუხობს:** არა არ შეეძლო. დროის შემცირება მოხდა მხოლოდ გზშ-დან გათავისუფლების დროს. ანუ 4-ში შემოსული გათავისუფლების საკითხი გადაწყდა 28 დეკემბერს. პრაქტიკულად 23-24 დღეში. ოქმი საქმეში დევს, რის საფუძველზეც შემდეგ გამოიცა ბრძანება.

**განხილვაში მონაწილე ლალი თევდორაშვილის შეკითხვაზე:** თქვენ ახსენეთ, რომ ეკოლოგიური ექსპერტიზისთვის წარდგენილი დოკუმენტაცია სრულად შეესაბამებოდა კანონით დადგენილ მოთხოვნებს, მაგრამ ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ეკოლოგიური ექსპერტიზისთვის წარდგენილი უნდა იყოს არა მარტო გზშ-სგან გათავისუფლებისათვის წარსადგენი დოკუმენტაცია, არამედ „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ", „გ" „დ", „ე" ასევე მე-8 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი დოკუმენტაციაცო. რამდენად აკმაყოფილებდა მითითებულ მუხლს ეკოლოგიური ექსპერტიზისათვის წარდგენილი დოკუმენტაცია. თქვენი პოზიცია, რომ გვითხრათ აღნიშნულთან დაკავშირებით.

**მოწინააღმდეგე მხრის წარმომადგენელი ნინო სამადაშვილის პასუხობს:** ამაზე მე მოკლედ აღვნიშნე, რომ ყველა ეს დოკუმენტაცია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დროს იყო წარმოდგენილი და გათვალისწინებული, უბრალოდ სათაურები შეიძლება სიტყვა-სიტყვით არ იყოს ასე. შინაარსობრივად, მოიცავდა, იმიტომ რომ „ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლი ადგენს რას უნდა შეესაბამებოდეს წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ეს წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომ შეესაბამებოდა იმ ყველა ფაქტორს, რომ რისკები იყო გათვლილი, საველე კვლევის შედეგები, ტექნოლოგიური პროცესის აღწერა და კიდე სხვა. ყველაფერი იყო იმ დასკვნებში გათვალისწინებული და წარმოდგენილი. ამიტომ არსობრივად და შინაარსობრივად მოიცავდა ყველა იმ საქმიანობას და განსახილველ საკითხს, რაც ფაქტობრივად გზშ-დან, რომ არ გაეთავისუფლებინა ეტაპობრივად იმასაც გაივლიდა და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დროს. ჩვენ ეს სამართლებრივ დასაბუთებაში აღვნიშნეთ, რომ კანონი ჩვენ აქ ჩამონათვალს არ გვიწესებს. გვეუბნება რას უნდა შეესაბამებოდეს. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აბსოლუტურად ყველა რისკი იყო გათვლილი, შემარბილებელი ღონისძიებები იყო გათვლილი და ექსპერტის მიერ იყო დასკვნები, ეს საქმიანობები რა ღონისძიებებს საჭიროებდა, რა უკუჩვენება შეიძლება ჰქონოდა ან ზეგავლენა გამოეწვია გარემოზე და დასაშვებად, რომ იქნა თვითონ ექსპერტმა უთხრა, თორემ საბჭო ამ შემთხვევაში

სპეციალისტებისგან კი კომპლექტდება, მაგრამ არიან იქ იურისტებიც. მე თუ ექსპერტიზის დასკვნა არ მიდევს, რომ აქ შესაძლებელია საქმიანობის განხორციელება ამაზე მე ისე გადაწყვეტილებას ვერ მივიღებ და რა საფუძველი მაქვს მე ექსპერტიზის დასკვნაში ეჭვი შევიტანო, როცა იმის გამაქარწყლებელი და საწინააღმდეგო საქმეში არ მიდევს. შესაბამისად, მე ხელის შემშლელი ფაქტორი კანონსაწინააღმდეგო, სამართლის ნორმა არ მქონდა, რომელიც ამიკრძალავდა ასეთი გადაწყვეტილების მიღებას. აქედან გამომდინარე, მე თუ მკითხავთ, ეს გზშ-დან კი გათავისუფლდა, მაგრამ ყველა ის დოკუმენტაცია და ყველა ის საკითხი, რომელიც გზშ-დან რომ არ გათავისუფლებულიყო, უნდა განეხილა ჯერ პირველ ეტაპზე და შემდეგ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დროს, ერთობლივად მოხდა ყველა ამ საკითხის შეჯერება, გამოკვლევა და განხილვა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის ეტაპზე. აქედან გამომდინარე, სწორედ ეს არის მნიშვნელოვანიც, რომ მხარის მიერ კანონის რომელი ნორმა დაირღვა, რომელიც მე ამიკრძალავდა, თუნდაც გზშ-დან გათავისუფლებას და მეტყოდა, რომ შენ ეს საბუთი, რომ არ განიხილე ამით გარკვეული საკითხები არ განიხილე და უგულებელყავი, რის საფუძველზეც სულ სხვა გადაწყვეტილება მიიღე.

**განხილვაში მონაწილე ლალი თევდორაშვილის შეკითხვაზე:** ბატონ ზაზამ, ახსენა, რომ ჩართულები იყვნენ პროცესებში, ინფორმირებულები იყვნენ მიმდინარე ეგხ-ის მშენებლობასთან დაკავშირებით. ამასთან, კომუნიკაცია ჰქონდათ სსე-ს წარმომადგენლებთან, რომლებიც ინფორმაციას სისტემატურად აწვდიდნენ. გარდა ამისა აღნიშნა, რომ კომუნიკაცია ჰქონდათ და კომპანიას გაუზიარეს საკუთარი ალტერნატივა ეგხ-ს მარშრუტთან დაკავშირებით. ანუ სსე-მ იცოდა მოსახლეობის გარკვეული ჯგუფის პოზიცია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა აღარ გადაწყვიტა საჯარო განხილვების მოწყობა. თქვენი აზრით, იმის გათვალისწინებითაც, რომ კომპანიამ ისედაც იცოდა მოსახლეობის გარკვეული ჯგუფის მოსაზრებები, რა ზეგავლენა შეიძლება მოეხდინა მიმდინარე პროცესის შედეგზე საჯარო განხილვების მოწყობის პირობებში?

**ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის წარმომადგენელი ნინო გუჯარაიძე პასუხობს:** ბატონი ზაზა საუბრობდა სხვა პროექტზე, თუმცა

ამ პროექტზე ელექტროსისტემამ იცოდა მოსახლეობის პოზიცია, ვინაიდან იყო არაერთი საპროტესტო აქცია და დაიჭირეს ადამიანები, რაც ყველასთვის ცნობილი ფაქტია. გარემოს დაცვის სამინისტროში შესულია საჩივრები და შესაბამისი განხილვები იყო. აქ საუბარი იყო პროექტის განხორციელების მარშრუტის ალტერნატივაზე, რომელიც ისედაც უნდა ყოფილიყო იმ დოკუმენტში განხილული, რომელსაც „გარემოს ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს და რომელსაც ჰქვია გზშ ანგარიში და რომელიც არ ყოფილა ჩატარებული. ზუსტად ამაზეა საუბარი. კანონი ითხოვს ამ პროცედურის გავლას, იმისთვის, რომ შეფასებული იყოს ყველა მარშრუტი, ამასთანავე შეფასებული იყოს, როგორც გარემოზე ზემოქმედებასთან მიმართებაში, ასევე სოციალურ გარემოზე ადამიანებზე ზემოქმედებასთან მიმართებაში. ადამიანებზე ზემოქმედებას იგებ თუ გაქვს მათთან კომუნიკაცია, აწყობ საჯარო განხილვებს. ზუსტად ამაზე იყო საუბარი, ეს ადამიანები ითხოვდნენ სხვა მარშრუტს და ამ მარშრუტის განუხორციელებლობის დასაბუთებას: შეიძლება ეს მარშრუტი, არ შეიძლება, იაფია, ძვირია, საშიშია, უსაფრთხოა? ეს ადამიანები ითხოვდნენ თავიანთი პოზიციის დასაბუთებას და ზუსტად გზშ-ის პროცედურა საჯარო განხილვებისთვის მაგისთვის არის, რომ ადამიანი წარადგენს თავის შენიშვნას და მოითხოვს კონკრეტულ ცვლილებას მიიღოს პასუხი. ეს მოეთხოვება კანონით და გზშ, რომ სრულფასოვნად ჩატარებულიყო სსე-ს წერილობით უნდა წარმოედგინა თავისი პოზიცია, თუ რატომ არის იგი წინააღმდეგი იმ მარშრუტისა, რომელსაც მოსახლეობას სთავაზობდა და არავითარი პრობლემა არ შეიქმნებოდა. მაგრამ ვინაიდან ზუსტად ამის არიდება უნდოდა და ეს ნათლად არის მითითებული, როგორც მათ წერილში, ისე გარემოს დაცვის სამინისტრო პოზიციაში, რომ პროცედურისგან გათავისუფლება გულისხმობს მარტო საჯარო განხილვისგან გათავისუფლებას. ზუსტად ამისი არიდება მოხდა და ზუსტად ამით მიადგათ ამ ადამიანებს ზიანი, რომ თავიანთი პოზიციის დასაბუთების შესაძლებლობა არ მიეცათ, არ მიეცათ იმ ვარიანტის დასაბუთების და დაცვის შესაძლებლობა, რომელიც მათი აზრით მათთვის უსაფრთხო იქნებოდა და ყველასთვის მომგებიანი. ანუ მათ არ მიეცათ თავიანთი აზრის და უფლებების დაცვის შესაძლებლობა.

**განხილვაში მონაწილე ლალი თევდორაშვილის შეკითხვაზე:** ბატონმა ზაზამ აღნიშნა, რომ ეგხ-ები განთავსდა ისეთ ადგილებზე, რომლებიც მეწყერ საშიში ზონებია და ექსპერტიზის დასკვნები ახსენა ამასთან დაკავშირებით. რომელ დასკვნაზე საუბრობდა ბატონი ზაზა?

**ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის წარმომადგენელი ნინო გუჯარაიძე პასუხობს:** ზუსტად იმ მონაცემებშიც არის და შენიშვნაც ერთ-ერთი იყო და გეოლოგების დასკვნა არსებობს, რომ მეწყერულ ზონაზე არის განთავსებული და მოსთხოვეს დამატებითი კვლევების ჩატარება. ეს ადამიანები მიუთითებდნენ, რომ სხვა ტერიტორიაზე განთავსებულიყო.

**სხდომის თავმჯდომარემ ზეპირი მოსმენა დასრულებულად გამოაცხადა და მხარეებს განუმარტა, რომ გადაწყვეტილების შესახებ ეცნობებათ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.**

**სხდომა დამთავრდა:** 11:45 საათზე

**სხდომის თავმჯდომარე:** ზ. თაქთაქიშვილი

**სხდომის მდივანი:** ნ. ბერიაშვილი